



შპს „სქილვილის“ მიერ ქუთაისის ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „Front-end პროგრამირება“, „ციფრული მარკეტინგი“ და „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ დამატების შესახებ დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათია მაწკეპლაძე

წევრები:

ნინო ქიტიაშვილი-განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

რატი სხირტლაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - “ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“;

ცოტნე ქორჩილავა - დარგის ექსპერტი (წევრი) - „Front-end პროგრამირება“;

ია თავდიშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ციფრული მარკეტინგი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.10. ი. თავდიშ

ნ. მაწკეპლაძე
წ. მანუაშვილი
მ. მანუაშვილი
მ. მანუაშვილი



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სქილვილ

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406258730

სახე:

☐

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.10.1

ი. თავაძე

მ. მანუაშვილი

ნ. მანუაშვილი



III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. ქმ. ი. თავაძე

ნ. მანუაშვილი
მ. მანუაშვილი
მ. მანუაშვილი



ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ციფრული მარკეტინგი“, „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“, „Front-end პროგრამირება“.

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუჩიძე
6. კ. ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
---	--	--

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.10.11.0. თავმჯდომარის ხელმოწერა

ნ. მანუკიძე
წევრების ხელმოწერები



სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
4) ადამიანური რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუჩიძე
6. კი. ი. თავაძე
[Signature]
[Signature]



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
--	--	--

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

- 2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეაფასა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „Front-end პროგრამირება“, „ციფრული მარკეტინგი“ და „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო გარემო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

ვიზიტის პერიოდისთვის დაწესებულებას ქ. ქუთაისის ლოკაციაზე გამოყოფილი ჰქონდა სასწავლო აუდიტორიები, თუმცა სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და ინვენტარი წარმოდგენილი არ იყო. კერძოდ, არ იყო უზრუნველყოფილი პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის საჭირო მაგიდები, სკამები და სხვა შესაბამისი ინვენტარი, ასევე პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 3 ივლისის №00012685(ცვლილება 04.08.2026წ №00016118) ბრძანებით დამტკიცებული „შპს „სქილვილის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქ. ი. თავაძე
[Signature]
[Signature]



საჭირო დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენასა და სასწავლო გარემოს სრულად აღჭურვას. გეგმაში განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები და მათი განხორციელების ვადები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ვიზიტის მომენტისთვის პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსები და სასწავლო ინვენტარი უზრუნველყოფილი არ იყო, რის გამოც არსებული მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფდა პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სრულად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამასთან, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია აღნიშნული რესურსების უზრუნველყოფა დადგენილ ვადებში, კერძოდ 5 თვის განმავლობაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასებულია „მეტწილად შესაბამისი“.

ინდიკატორი 2.2.1.1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „Front-end პროგრამირება“, „ციფრული მარკეტინგი“ და „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და სასწავლო ინვენტარის სრულად მობილიზება/შეძენა, მათ შორის პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის საჭირო ინვენტარის და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფა, რათა პროფესიულ სტუდენტთა განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის პირობებში სრულად იყოს უზრუნველყოფილი პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

2. 2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ფარგლებში დაწესებულებამ განახორციელა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა და აყვანა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს შესაბამისი მიმართულებით პროფესიული და/ან დარგობრივი კომპეტენცია გააჩნია, თუმცა ახალად აყვანილ მასწავლებელთა ნაწილს არ აქვს სწავლებისა და პროფესიული სტუდენტების შეფასების მიმართულებით შესაბამისი გამოცდილება, რაც ინდიკატორით განსაზღვრული მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას შეფასების ეტაპზე ვერ უზრუნველყოფს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5 მანუა
6.10. ი. თავაძე
[ხელმოწერები]



ამასთან, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის შესაბამისადაც დაგეგმილია პროფესიული განათლების მასწავლებლების სწავლებისა და შეფასების მიმართულებით გადამზადება 3 თვის ვადაში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების მიერ დაგეგმილი ღონისძიება ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების მასწავლებელთა სწავლებისა და შეფასების კომპეტენციის განვითარებას. თუმცა, შეფასების მომენტისთვის მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს აღნიშნული მიმართულებით შესაბამისი გამოცდილება არ ჰქონდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი **2.2.1.3 შეფასებულია „მეტწილად შესაბამის“**.

ინდიკატორი 2.2.1.3. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს იმ პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება/პროფესიული განვითარება, რომელთაც არ აქვთ სწავლებისა და პროფესიული სტუდენტების შეფასების მიმართულებით შესაბამისი გამოცდილება, და დაადასტუროს აღნიშნული კომპეტენციების განვითარება შესაბამისი მტკიცებულებებით, რათა პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების ეფექტიანად გამომუშავება და ობიექტური შეფასება.

მე-4 სტანდარტი:

3. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის 2026 წლის 17 ივლისს No00014915 ბრძანებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, აგრეთვე პერსონალთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი პირობები.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვის ძირითადი პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი შიდა პირობების შესაბამისად. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა დოკუმენტური ხასიათის შეუსაბამობა, რომელიც დაკავშირებულია პერსონალის მართვის დოკუმენტაციის სრულ შესაბამისობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაჩია
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



კერძოდ, 2026 წლის 17 ივლისს No00014915 ბრძანებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით“ განახლდა რიგი ადმინისტრაციული პოზიციების დასახელებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა აღნიშნული ცვლილებები შეფასების ეტაპზე სრულად არ იყო ასახული მოქმედ შრომით ხელშეკრულებებში. შესაბამისად, განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურისა და პერსონალის მართვის დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის პროცესი დასრულებული არ იყო.

აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია, ვინაიდან პერსონალის ფუნქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შრომითი ურთიერთობის პირობები თანმიმდევრულად და ურთიერთშესაბამისად უნდა აისახოს პერსონალის მართვის შესაბამის დოკუმენტაციაში.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გაითვალისწინა დაწესებულების საქმიანობის გაფართოება ქუთაისის ლოკაციაზე. შეფასების ეტაპზე აღნიშნულ ლოკაციაზე დასაქმებული იყო ფილიალის მენეჯერი, ხარისხის მართვის კოორდინატორი, აკადემიური პროცესის კოორდინატორი, სტუდენტთა წარმატების მენეჯერი და ექთანი. დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დაწყებასა და საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებით დამატებითი ადამიანური რესურსის შერჩევა და დასაქმება დაგეგმილია ეტაპობრივად. აღნიშნული გარემოება, თავისთავად, არ მიუთითებს პერსონალის მართვის პროცედურების დარღვევაზე და დაკავშირებულია დაწესებულების საქმიანობის განვითარების ეტაპთან.

ამასთან, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნული საკითხი ასახულია და გათვალისწინებულია 4-თვიანი სამოქმედო პერიოდი. გეგმის შესაბამისად, დაგეგმილია შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, შრომითი ხელშეკრულებებისა და პერსონალის პირადი საქმეების განახლება და მათი ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში პერსონალის მართვის ძირითადი მექანიზმები მოქმედებს და რეგულირდება შესაბამისი შიდა დოკუმენტებით, თუმცა განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის შედეგად განხორციელებული ცვლილებების პერსონალის მართვის დოკუმენტაციაში სრულად ასახვის პროცესი შეფასების ეტაპზე დასრულებული არ იყო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა სრულად შესრულებულად ვერ ჩაითვალა. ამასთან, გამოვლენილი გარემოება დოკუმენტური ხასიათისაა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულია მისი გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებები და ვადა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2026
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



შესაბამისად, ინდიკატორი 4.1.2.1 შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

რეკომენდაცია-ინდიკატორი 4.1.2.1. დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტების, განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის, შრომითი ხელშეკრულებებისა და პერსონალის პირადი საქმეების სრულად ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა, მათ შორის პოზიციების დასახელებების, ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ერთგვაროვანი ასახვა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

4. 4.1.2.3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები და შესაბამისი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია. შეფასებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, ძირითადად, შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებსა და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ამასთან, 2026 წლის 17 ივლისს No00014915 ბრძანებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით“ განახლდა ცალკეული ადმინისტრაციული პოზიციების დასახელებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შეფასების ეტაპზე აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად პერსონალის სრულად დაკომპლექტებისა და არსებული პირადი საქმეებისა და შრომითი დოკუმენტაციის განახლებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი დასრულებული არ იყო.

დაწესებულებას აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, რომლის ფარგლებში დაგეგმილია პერსონალის შესაბამისი კვალიფიკაციით დაკომპლექტება და პერსონალის დოკუმენტაციის განახლება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ არსებული პერსონალის კვალიფიკაცია, ძირითადად, შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, განახლებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების სრულად დანერგვისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესაბამისობის პროცესი შეფასების ეტაპზე დასრულებული არ იყო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 შეფასებულია „მეტწილად შესაბამისი“.

რეკომენდაცია-ინდიკატორი 4.1.2.3. დაწესებულებამ უზრუნველყოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დაკომპლექტება განახლებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად და პერსონალის პირადი საქმეებისა და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაჩია ი. თაყაიშვილი
[ხელმოწერები]



შესაბამისი დოკუმენტაციის აღნიშნულ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

5. 4.2.1.3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მარეგულირებელი დოკუმენტები, შესაბამისი მტკიცებულებები და პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები. შეფასებით დადგინდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენას, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას. მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებში, სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში და სხვა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.

ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ფარგლებში დაწესებულებამ აიყვანა ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მასწავლებელთა ნაწილს სწავლებისა და შეფასების მიმართულებით შესაბამისი გამოცდილება არ აქვს. აღნიშნული საჭიროების გათვალისწინებით, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს მათი გადამზადება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის აღნიშნული გადამზადების ღონისძიებები განხორციელებული არ იყო. ამასთან, საკითხი ასახულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება დაგეგმილია **3-თვიან ვადაში**.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მექანიზმები არსებობს და მოქმედებს, თუმცა ახალი პროგრამის ფარგლებში აყვანილი მასწავლებლებისთვის სწავლებისა და შეფასების მიმართულებით დაგეგმილი პროფესიული განვითარების ღონისძიებების განხორციელება შეფასების ეტაპზე დასრულებული არ იყო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შეფასებულია „მეტწილად შესაბამის“**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2024
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



რეკომენდაცია-ინდიკატორი 4.2.1.3. დაწესებულებამ უზრუნველყოს ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სწავლებისა და შეფასების მიმართულებით დაგეგმილი პროფესიული განვითარების ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი კომპეტენციების დადასტურება, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ **3-თვიან ვადაში**.

6. 5.1 კომპონენტი

შპს „სქილვილი“ ქ. ქუთაისში (მის.: ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N26) მდებარე შენობაში (ყოფილი პარლამენტის შენობა) გეგმავს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ამ ეტაპზე დაწესებულებასა და GITA-ს შორის მიმდინარეობს იურიდიული პროცედურები ქონების სარგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით. პროცესი მოიცავს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თანხმობასა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების გამოცემას.

დაწესებულების მიერ მე-5 სართულზე უკვე დაგეგმილია და გამოყოფილია ყველა საჭირო ფუნქციური სივრცე (10 სასწავლო აუდიტორია, 1 საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა/რესურსცენტრი, 5 ადმინისტრაციული და 5 სამუშაო ოთახი, სანიტარიული კვანძები შშმ პირთათვის, სარეკრეაციო სივრცეები, ექიმის კაბინეტი და სივრცე არქივისთვის).

5.1 კომპონენტი შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების საბოლოო გაფორმება და დათქმული გრაფიკის შესაბამისად დაასრულოს მიმდინარე სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები და მატერიალური რესურსით აღჭურვა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად (04/08/2026 - ბრძანება N 00016118 - ცვლილება ბრძანებაში N12685 -2026 წლის 03 ივლისი). შესაბამისობის სამოქმედო გეგმის მიხედვით (2026 წლის ივლისი – ნოემბერი): გაფორმდება იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ფართით სარგებლობა და იჯარის საფასურის გადახდა დაიწყება 2026 წლის 1 ნოემბრიდან; განხორციელდება ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა და აუდიტორიების სრული აღჭურვა საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით; შენობაში დაინერგება შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული აქტივობების დაფინანსება უზრუნველყოფილია კოლეჯის საკუთარი ბიუჯეტით.

7. 5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქ. ქ. თავმჯდომარის ხელმოწერა
ი. თავმჯდომარის ხელმოწერა
მ. მანუაშვილი
მ. მანუაშვილი



ქუთაისის ლოკაციაზე შეფასების ეტაპზე საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა გამართული და დაწესებულების ერთიან IT მართვის სისტემაში ინტეგრირებული არ იყო. კერძოდ, სრულად არ იყო უზრუნველყოფილი IT ინფრასტრუქტურისა და ქსელური უსაფრთხოების მართვის, IT რისკების მართვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვისთვის საჭირო ტექნიკურ-ორგანიზაციული ზომებისა და სტუდენტებისა და პერსონალისთვის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემებისა და უწყვეტი IT მხარდაჭერის პრაქტიკული დანერგვა.

აღნიშნული გარემოებები აფერხებს ქუთაისის ლოკაციაზე დაწესებულების ძირითადი საქმიანობის სრულფასოვანი IT მხარდაჭერით განხორციელებას. საკითხის გამოსწორება დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის გეგმაში, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება დაგეგმილია **2026 წლის 30 ნოემბრამდე**.

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს ქუთაისის ლოკაციაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) ინფრასტრუქტურის სრული გამართვა და ინტეგრირება ერთიან მართვის სისტემაში. კერძოდ, დათქმულ ვადებში (2026 წლის 30 ნოემბრამდე) განხორციელდეს: IT ინფრასტრუქტურის, ქსელური უსაფრთხოებისა და IT რისკების მართვის მექანიზმების პრაქტიკული დანერგვა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისი ტექნიკურ-ორგანიზაციული ზომების უზრუნველყოფა ახალ ლოკაციაზე; სტუდენტებისა და პერსონალისთვის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემებისა და IT მხარდაჭერის უწყვეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაიხ. ი. თავაძე
[Signature]
[Signature]



სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 19 აგვისტოს MES 5 26 0001067792 წერილის საფუძველზე წარმოდგენილია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ასახულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციებს და წარმოადგენს საკუთარ არგუმენტებს და დაზუსტებებს სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციებთან მიმართებით.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Front-end პროგრამირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს სქილვილის დირექტორის № 00009540 22/05/2026(ცვლილება № 00012681 03/07/2026)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი ქუთაისი; ირაკლი აბაშიძის ქუჩა N26
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანჯიჭი
6. კ. ი. თავლიშვილი
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
--	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაჩია ი. თაყაიშვილი
[Signature]
[Signature]



სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).

დასაბუთება

.....

.....

.....

.....

.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანჯიჭი

6. კ. ი. თავაძე

მ. მ. მ. მ.

მ. მ. მ. მ.



6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end პროგრამირება“ შემუშავებისა და დანერგვის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებით №002087 დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“, ასევე პროგრამის შემუშავებისა და დანერგვის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის შემუშავების მიზნით დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა პროგრამის შესაბამისობა დაწესებულების მისიასთან, სტრატეგიულ მიზნებთან, შრომის ბაზრის საჭიროებებსა და პროგრამის განხორციელების რესურსებთან. გარდა ამისა, შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 30 ივნისის №12322 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის/ცვლილების სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ქუთაისის ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაციის, რესურსებისა და ინფორმაციის მომზადება და შეფასება უზრუნველყო.

დაწესებულების მისიის მიხედვით, შპს „სქილვილი“ ახორციელებს მრავალმხრივ საგანმანათლებლო საქმიანობას და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით ქმნის მაღალი ხარისხის სასწავლო გარემოს. სტრატეგიული განვითარების დოკუმენტების თანახმად, კოლეჯის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რაც ორიენტირებულია დასაქმებისა და განათლების ხელმისაწვდომობის ზრდასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირებაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება, დაწესებულების მიერ განხორციელებული ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა, მეორეული კვლევის დოკუმენტები, დასაქმების პლატფორმების ანალიზი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. კ. მ. თაყაიშვილი
[ხელმოწერები]

დამსაქმებლებთან თანამშრომლობის ამსახველი მასალები და პროგრამის დაგეგმვის პროცესში გამოყენებული მტკიცებულებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის საჭიროების შეფასების მიზნით დაწესებულებამ გამოიყენა როგორც პირველადი, ისე მეორეული ინფორმაციის წყაროები. განხორციელებულია ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების პლატფორმების (Jobs.ge, HR.ge, LinkedIn, aWork, We Work Remotely, Remote OK და სხვა) მონიტორინგი, გაანალიზებულია მოთხოვნადი პოზიციები, დამსაქმებელთა მიერ მოთხოვნილი კომპეტენციები და ICT სექტორში დასაქმების ტენდენციები. ამასთანავე, გამოყენებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქსტატის, „საქართველოს განვითარების სტრატეგია – ხედვა 2030“-ის, Galt & Taggart-ისა და სხვა რელევანტური კვლევების მონაცემები.

დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ პროგრამის დაგეგმვის პროცესში შეფასებულია როგორც ქვეყნის მასშტაბით ICT სექტორის განვითარების ტენდენციები, ისე ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებები. წარმოდგენილი კვლევები ასახავს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტს, თანამედროვე ვებტექნოლოგიების მცოდნე კადრებზე მზარდ მოთხოვნას და იმ კომპეტენციებს, რომლებსაც დამსაქმებლები განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებულია მოთხოვნა HTML-ის, CSS-ის, JavaScript-ის, თანამედროვე Framework-ების, Git-ის, REST API-ებთან მუშაობის, Responsive Web Design-ის, UI/UX-ის საფუძვლებისა და პრაქტიკული პროექტების განხორციელების უნარებზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების მიერ ჩატარებული სამუშაო მოიცავს პროგრამის დაგეგმვისათვის აუცილებელ ძირითად ეტაპებს. წარმოდგენილია პროგრამის საჭიროების დასაბუთება, შრომის ბაზრის ანალიზი, შესაბამისი სტატისტიკური და ანალიტიკური მონაცემები, დასაქმების პლატფორმების მონიტორინგის შედეგები და დამსაქმებელთა მოთხოვნების შეფასება. აღნიშნული მტკიცებულებები გამოყენებულია პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და შინაარსის განსაზღვრის პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end პროგრამირება“ შინაარსობრივად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებს. პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო შინაარსი ორიენტირებულია იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე, რომელთა მიმართაც, წარმოდგენილი კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე, იკვეთება მოთხოვნა როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანჯიძე
6. კი. ი. თავაძე
[Signature]
[Signature]

ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პროგრამის დაგეგმვისა და დანერგვის პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მიმდინარე და პერსპექტიული საჭიროებები, პროგრამის განხორციელება ემყარება შესაბამის კვლევებსა და ანალიზს, ხოლო მისი მიზნები და სწავლის შედეგები ლოგიკურ კავშირშია როგორც დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან, ისე ICT სექტორის განვითარების თანამედროვე ტენდენციებთან. წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარის საფუძველს ქმნის პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას-შეფასდა შესაბამისად

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end პროგრამირება“ დაშვების წინაპირობები, აპლიკანტთა მიღებისა და ჩარიცხვის პროცედურები, ასევე აღნიშნული პროცესის მარეგულირებელი შიდა ნორმატიული დოკუმენტები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „Front-end პროგრამირება“ დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, რაც შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს „Front-end Development“ (სარეგისტრაციო №06.1.1), რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა.

აპლიკანტთა რეგისტრაციის, შერჩევის, შეფასების, ჩარიცხვის, აპელაციისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების მიღების პროცედურები რეგულირდება შპს „სკილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №17632 ბრძანებით (ბოლო ცვლილება – 2026 წლის 30 აპრილის №7511) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს პროფესიულ პროგრამებზე მიღების პროცესის ყველა ეტაპს, მათ შორის აპლიკანტთა რეგისტრაციის წესს, შეფასების ფორმებსა და ვადებს, შესარჩევი და სააპელაციო კომისიების საქმიანობას, ჩარიცხვის პროცედურებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა მიღების მექანიზმებსა და ინფორმირების წესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. კი. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესში კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში კოლეჯი ახორციელებს აპლიკანტთა შიდა შეფასებას მოტივაციური გასაუბრების ფორმით. შეფასება ტარდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძველზე, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყოველწლიურად განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით შექმნილია სააპელაციო მექანიზმი, რომლის პროცედურები და ვადები ასევე რეგულირებულია აღნიშნული წესით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მოტივაციური გასაუბრების ფორმა, შეფასების კრიტერიუმები და შესარჩევი კომისიების დაკომპლექტების წესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეფასება მოიცავს აპლიკანტის მოტივაციის, ინტერესის, ზოგადი უნარებისა და პროგრამის სპეციფიკის შესახებ ინფორმირებულობის შეფასებას, ხოლო შესარჩევ კომისიაში, კოლეჯის წარმომადგენლებთან ერთად, ჩართულნი არიან პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ პროფესიულ სტანდარტსა და მოქმედ კანონმდებლობას. აპლიკანტთა მიღების, შეფასებისა და ჩარიცხვის პროცედურები დეტალურად არის რეგულირებული შიდა ნორმატიული აქტებით, განსაზღვრულია შეფასების, გასაჩივრებისა და ინფორმირების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალე, სამართლიან და თანასწორ პირობებზე დაფუძნებულ მიღების პროცესს. წარმოდგენილი მექანიზმები ქმნის საფუძველს პროგრამაზე ისეთი აპლიკანტების მიღებისთვის, რომელთაც გააჩნიათ პროგრამის წარმატებით დასრულებისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი საგანმანათლებლო წინაპირობა და მოტივაცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - შეფასდა შესაბამისად.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაიკაძე ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 6 მარტის №00004500 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end პროგრამირება“ ქუთაისის ლოკაციისთვის წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება.

წარმოდგენილი მეთოდოლოგია ეფუძნება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებსა და კოლეჯის შიდა ნორმატიულ აქტებს. დოკუმენტი განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენის ერთიან მიდგომას, შეფასების კრიტერიუმებსა და გაანგარიშების პრინციპებს.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობასა და დატვირთვას, A, B და C ტიპის სასწავლო გარემოების გამტარუნარიანობას, სასწავლო სივრცეების ფართობს, მატერიალურ-ტექნიკურ და საბიბლიოთეკო რესურსებს, ადმინისტრაციული პერსონალის შესაძლებლობებს, დისტანციური სწავლების სპეციფიკას, პროფესიულ სტუდენტთა პროგრესს, პროგრამის მოთხოვნადობას, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს, პროგრამის განვითარების შესაძლებლობებსა და საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულ რენტაბელობის ზღვარს.

მეთოდოლოგია ასევე არეგულირებს საერთო სასწავლო გარემოების გამოყენების შემთხვევებს, სხვადასხვა პროგრამას შორის რესურსების გადანაწილების პრინციპებს, სწავლების ერთ ან ორ ცვლაში განხორციელების შესაძლებლობას, ინტეგრირებული სასწავლო გარემოების გამოყენებასა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის გაანგარიშების წესს. ამასთან, განსაზღვრულია, რომ თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დგინდება შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ, მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და პროგრამისთვის ხელმისაწვდომი რესურსების შეფასების საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია წარმოადგენს სისტემურ და გამჭვირვალე მექანიზმს, რომელიც ეფუძნება ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისთვის არსებულ ადამიანურ, მატერიალურ-ტექნიკურ, ინფრასტრუქტურულ და ფინანსურ რესურსებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.03.2026
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end პროგრამირების“ ქუთაისის ლოკაციისთვის წარმოდგენილი კონტინგენტის გაანგარიშება შესრულებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად და ეფუძნება სასწავლო გარემოების გამტარუნარიანობის, ადამიანური რესურსის, სწავლების ორგანიზების ფორმისა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების კომპლექსურ შეფასებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - შეფასდა შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი (დანართი №3 – „მატერიალური რესურსი“), რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მოდულის მიხედვით. აღნიშნული რესურსები სრულად არის თანხვედრაში საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - შეფასდა შესაბამისად.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ Front-end პროგრამირება “ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. კი. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



ექსპერტთა ჯგუფის მიერინდიკატორი 2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - შეფასდა შესაბამისად.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის №00020870 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების უფლების მოპოვების, განვითარების, ცვლილებების განხორციელებისა და გაუქმების პროცესებს.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების პროცესი მოიცავს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის რამდენიმე თანმიმდევრულ ეტაპს. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამის სრული პაკეტი განსახილველად გადაეცემა კოლეჯის ხარისხის მართვის გუნდს, რომელიც აფასებს პროგრამის შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან და შესაბამის დასკვნას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

წარმოდგენილი წესის შესაბამისად, ხარისხის მართვის გუნდის მიერ პროგრამაში ხარვეზების ან შეუსაბამოებების გამოვლენის შემთხვევაში, პროგრამის პაკეტი არგუმენტირებული შენიშვნებით უბრუნდება პროგრამის შემმუშავებელ სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფი განიხილავს წარმოდგენილ რეკომენდაციებს, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს ან წარმოადგენს დასაბუთებულ პოზიციას, რის შემდეგაც განახლებული პროგრამა განმეორებით წარედგინება ხარისხის მართვის გუნდს შეფასებისთვის.

დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის დამტკიცება ხორციელდება მხოლოდ ხარისხის მართვის გუნდის დადებითი დასკვნის საფუძველზე, რის შემდეგაც კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ამასთან, ხარისხის მართვის გუნდი კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების პროცესს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნული პროცედურის დაცვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end პროგრამირება“ დამტკიცებულია შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.10.2025
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



ივლისის №10303 ბრძანებით, ხოლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები დამტკიცებულია 2026 წლის 3 ივლისის №00012681 ბრძანებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებისა და განხორციელების უფლების მოპოვების მკაფიოდ გაწერილი შიდა პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მრავალეტაპიან განხილვას, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას, რეკომენდაციების გათვალისწინების მექანიზმსა და ხარისხის მართვის გუნდის აქტიურ მონაწილეობას პროგრამის დამტკიცების პროცესში. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end პროგრამირება“ დამტკიცებულია დაწესებულების მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებიც გავლილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - შეფასდა შესაბამისად.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end პროგრამირება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „Front-end დეველოპმენტი“ (სარეგისტრაციო ნომერი 06.1.1) საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის სახელწოდების შესაბამისობა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტთან და დაადგინა, რომ იგი შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ მიმართულებას, პროგრამის შინაარსს, მიზნებს, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის მკაფიო, ადეკვატური და არ წარმოადგენს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას პროგრამით დაინტერესებული პირებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. კ. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end პროგრამირება“ დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „Front-end დეველოპმენტი“ (სარეგისტრაციო ნომერი 06.1.1) საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობისა და შპს „სქილვილის“ დირექტორის მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, შესაბამის მოდულებს, სასწავლო გეგმას, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების ჩამონათვალს, ასევე პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრულ ადამიანურ რესურსს, საპროგნოზო ბიუჯეტსა და, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ თანამშრომლობის დოკუმენტებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების დადასტურების, დოკუმენტირების, აღრიცხვისა და შენახვის მექანიზმი, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, მიკვლევადობასა და ხარისხის უზრუნველყოფას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2025
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით-შეფასდა შესაბამისად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კოლეჯში ხორციელდება პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი. აღნიშნული მონაცემები მოიცავს პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების დადასტურებისა და ვერ დადასტურების მაჩვენებლებს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

დოკუმენტაციის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მიღებული შეფასების შედეგების შესახებ შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. შეფასების შედეგების გაცნობის ვადა განისაზღვრება მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით: იმ შემთხვევაში, თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, შეფასების შედეგი სტუდენტს ეცნობება არაუგვიანეს ორი დღის ვადაში, ხოლო სხვა შემთხვევაში – ხუთი დღის ვადაში.

აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სტუდენტებისთვის დროული უკუკავშირის მიწოდებას და შეფასების შედეგების გამოყენებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის-შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632(ცვლილება – 2026 წლის 30 აპრილის №00007511) ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ს. მანუაშვილი
ი. თავაძე
მ. მანუაშვილი
მ. მანუაშვილი



- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №17631 (ცვლილება – 15.01.2026 №00000516) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ვერიფიკაციის დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

II. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ციფრული მარკეტინგი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ მარკეტინგში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0414
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „სქილვილის“ დირექტორის 22/05/2026 ბრძანება N 9540 ბოლო ცვლილება: შპს სქილვილის დირექტორის 03/07/2026 ბრძანება N 12669
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის ქუჩა N26

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანჯიშვილი

6. ქ. ი. თავაძე

მ. მანჯიშვილი

მ. მანჯიშვილი



პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანჯიჭი
6. ქაქ. ი. თავაძე
[Signature]
[Signature]



იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

.....

.....

.....

.....

.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1. პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუჩიძე

6. კი. ი. თავაძე

მ. მანუჩიძე

მ. მანუჩიძე



2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მარკეტინგი“ დოკუმენტაციისა და პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი აქტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების წესის შესაბამისად.

დაწესებულებაში მოქმედი შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებით № 00020870 დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“ არეგულირებს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, უფლების მოპოვების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების პროცესებს. აღნიშნული წესის შესაბამისად, „ციფრული მარკეტინგის“ პროგრამის შემუშავების მიზნით დაწესებულების დირექტორის 2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.10.2025
ი. თავაძე
[Signature]
[Signature]



წლის 23 აპრილის №7011 ბრძანებით შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობის ფარგლებში განხილულ იქნა პროგრამის საჭიროება და მისი კავშირი დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან.

პროგრამის შემუშავების პროცესის გაგრძელების მიზნით, დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 30 ივნისის №12322 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის/ცვლილების სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ქუთაისის ლოკაციისთვის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მომზადება/წარმოდგენა უზრუნველყო. აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პროგრამის შემუშავება განხორციელდა განსაზღვრული პროცედურული მექანიზმების ფარგლებში და შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და სამუშაო ჯგუფების ჩართულობით.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეაფასა პროგრამის დაგეგმვის საფუძვლები და მიზანშეწონილობის დასაბუთება. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარების მიმართულებები, აგრეთვე ციფრული მარკეტინგის სფეროში არსებული შრომის ბაზრის საჭიროებები. მიზანშეწონილობის დასაბუთება მოიცავს როგორც ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის, ისე ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციების ანალიზს და მიუთითებს პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენციების მოთხოვნადობაზე.

პროგრამის შემუშავების პროცესში ასევე გათვალისწინებულია პროგრამის პრაქტიკული ორიენტაცია და იმ პროფესიული უნარების განვითარება, რომლებიც დაკავშირებულია ციფრული მარკეტინგის თანამედროვე ინსტრუმენტებთან, მათ შორის სოციალური მედიის მართვასთან, კონტენტის შექმნასთან, SEO/SEM-ის, ციფრული რეკლამისა და ვებ-ანალიტიკის გამოყენებასთან. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება დაწესებულების მიერ პროგრამების დაგეგმვისას დასაქმებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირების პრინციპს.

პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, სამუშაო ჯგუფების საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებებისა და პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების ერთობლივი ანალიზით დგინდება, რომ „ციფრული მარკეტინგის“ პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავებისას დაცულია დაწესებულებაში მოქმედი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ძირითადი პროცედურული და შინაარსობრივი მოთხოვნები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული მარკეტინგი“ შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შემუშავების პროცესი რეგულირდება შესაბამისი შიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. კ. კ. ი. თავაძე
[ხელმოწერები]



აქტით, განხორციელებულია უფლებამოსილი სამუშაო ჯგუფების მონაწილეობით და ითვალისწინებს პროგრამის შესაბამისობას დაწესებულების მისიასთან, სტრატეგიულ მიმართულებებსა და შრომის ბაზრის საჭიროებებთან. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შესაბამება“.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მარკეტინგი“ დოკუმენტაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი აქტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შეესაბამება ციფრული მარკეტინგის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს (სარეგისტრაციო ნომერი 04.8.1).

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება შპს „სქილვილის“ სასწავლო პროცესის მართვის წესით, რომელიც განსაზღვრავს აპლიკანტთა მიღებასთან დაკავშირებულ პროცედურებს. პროგრამაზე შერჩევის ფარგლებში დაწესებულება იყენებს მოტივაციურ გასაუბრებას, რომლის მიზანია აპლიკანტის მოტივაციისა და პროგრამის ათვისებისთვის შესაბამისი წინაპირობების შეფასება.

მოტივაციური გასაუბრების შეფასების ინდიკატორები და შესაბამისი ქულები განისაზღვრება მოქმედი წესის შესაბამისად. ამასთან, გასაუბრების ფარგლებში გამოყენებული ფორმა მოიცავს აპლიკანტის ცოდნის, გამოცდილებისა და უნარების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც უზრუნველყოფს აპლიკანტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიღებას პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მოტივაციური გასაუბრების გადალახვისთვის საჭირო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ჩარიცხვის პროცედურის წინასწარ განსაზღვრულ და რეგულირებულ პირობებში განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაიხ. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]

პროგრამის დაშვების წინაპირობებისა და ჩარიცხვის პროცედურების ანალიზით დგინდება, რომ ისინი შესაბამისობაშია პროგრამის პროფესიულ სტანდარტთან და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. სრული ზოგადი განათლების მოთხოვნა და აპლიკანტთა შერჩევისას მოტივაციური გასაუბრების გამოყენება ქმნის საფუძველს პროგრამაზე შესაბამისი წინაპირობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მიღებისთვის.

წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტაციისა და ჩარიცხვის მარეგულირებელი წესის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ციფრული მარკეტინგი“ დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრული და რეგულირებულია შესაბამისი მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამაზე შესაბამისი წინაპირობების მქონე აპლიკანტთა შერჩევას და ქმნის საფუძველს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შესაბამება“.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 6 მარტის №00004500 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მარკეტინგი“ ქუთაისის ლოკაციისთვის წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება.

წარმოდგენილი მეთოდოლოგია ეფუძნება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებსა და კოლეჯის შიდა ნორმატიულ აქტებს. დოკუმენტი განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენის ერთიან მიდგომას, შეფასების კრიტერიუმებსა და გაანგარიშების პრინციპებს.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობასა და დატვირთვას, A, B და C ტიპის სასწავლო გარემოების გამტარუნარიანობას, სასწავლო სივრცეების ფართობს, მატერიალურ-ტექნიკურ და საბიბლიოთეკო რესურსებს, ადმინისტრაციული პერსონალის შესაძლებლობებს, დისტანციური სწავლების სპეციფიკას, პროფესიულ სტუდენტთა პროგრესს, პროგრამის მოთხოვნადობას, კურსდამთავრებულთა დასაქმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.03.2026
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



მაჩვენებლებს, პროგრამის განვითარების შესაძლებლობებსა და საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულ რენტაბელობის ზღვარს.

მეთოდოლოგია ასევე არეგულირებს საერთო სასწავლო გარემოების გამოყენების შემთხვევებს, სხვადასხვა პროგრამას შორის რესურსების გადანაწილების პრინციპებს, სწავლების ერთ ან ორ ცვლაში განხორციელების შესაძლებლობას, ინტეგრირებული სასწავლო გარემოების გამოყენებასა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის გაანგარიშების წესს. ამასთან, განსაზღვრულია, რომ თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დგინდება შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ, მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და პროგრამისთვის ხელმისაწვდომი რესურსების შეფასების საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია წარმოადგენს სისტემურ და გამჭვირვალე მექანიზმს, რომელიც ეფუძნება ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისთვის არსებულ ადამიანურ, მატერიალურ-ტექნიკურ, ინფრასტრუქტურულ და ფინანსურ რესურსებს.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული მარკეტინგისთვის“ ქუთაისის ლოკაციისთვის წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება შესრულებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად და ეფუძნება სასწავლო გარემოების გამტარუნარიანობის, ადამიანური რესურსის, სწავლების ორგანიზების ფორმისა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების კომპლექსურ შეფასებას. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შესაბამება“.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური ჩამონათვალი (დანართი №3 – „მატერიალური რესურსი), რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მოდულის მიხედვით. აღნიშნული რესურსები სრულად არის თანხვედრაში საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.10.2023
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული მარკეტინგი“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის №00020870 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების უფლების მოპოვების, განვითარების, ცვლილებების განხორციელებისა და გაუქმების პროცესებს.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების პროცესი მოიცავს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის რამდენიმე თანმიმდევრულ ეტაპს. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამის სრული პაკეტი განსახილველად გადაეცემა კოლეჯის ხარისხის მართვის გუნდს, რომელიც აფასებს პროგრამის შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან და შესაბამის დასკვნას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

წარმოდგენილი წესის შესაბამისად, ხარისხის მართვის გუნდის მიერ პროგრამაში ხარვეზების ან შეუსაბამობების გამოვლენის შემთხვევაში, პროგრამის პაკეტი არგუმენტირებული შენიშვნებით უბრუნდება პროგრამის შემმუშავებელ სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფი განიხილავს წარმოდგენილ რეკომენდაციებს, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს ან წარმოადგენს დასაბუთებულ პოზიციას, რის შემდეგაც განახლებული პროგრამა განმეორებით წარედგინება ხარისხის მართვის გუნდს შეფასებისთვის.

დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის დამტკიცება ხორციელდება მხოლოდ ხარისხის მართვის გუნდის დადებითი დასკვნის საფუძველზე, რის შემდეგაც კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ამასთან, ხარისხის მართვის გუნდი კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების პროცესს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.10.2025
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნული პროცედურის დაცვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული მარკეტინგი“ დამტკიცებულია შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისის №10303 ბრძანებით(ცვლილება 03.07.2026 ბრძანება № 00012669).

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებისა და განხორციელების უფლების მოპოვების მკაფიოდ გაწერილი შიდა პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მრავალეტაპიან განხილვას, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას, რეკომენდაციების გათვალისწინების მექანიზმსა და ხარისხის მართვის გუნდის აქტიურ მონაწილეობას პროგრამის დამტკიცების პროცესში. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული მარკეტინგი“ დამტკიცებულია დაწესებულების მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებიც გავლილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის სახელწოდება – „ციფრული მარკეტინგი“ – სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასა და სახელწოდებას „ციფრული მარკეტინგი / Digital Marketing“ (სარეგისტრაციო ნომერი 04.8.1).

პროგრამის სახელწოდება მკაფიოდ ასახავს მის შინაარსობრივ მიმართულებას და შესაბამისობაშია სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი და უზრუნველყოფს პროგრამის იდენტიფიცირებას შესაბამის პროფესიულ კვალიფიკაციასთან.

წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შეესაბამება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასა და სახელწოდებას. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2025
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მარკეტინგი“ დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „ციფრული მარკეტინგი“ (სარეგისტრაციო ნომერი 04.8.1) საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობისა და შპს „სქილვილის“ დირექტორის მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, შესაბამის მოდულებს, სასწავლო გეგმას, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების ჩამონათვალს, ასევე პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრულ ადამიანურ რესურსს, საპროგნოზო ბიუჯეტსა და, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ თანამშრომლობის დოკუმენტებს.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის ძირითადი დოკუმენტი მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს, მათ შორის პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, სწავლის შედეგებს, დასაქმების შესაძლებლობებს, პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობას, სწავლებისა და შეფასების მიდგომებს, კვალიფიკაციის მინიჭების პირობებს, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების თავისებურებებს (არსებობის შემთხვევაში), ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის დოკუმენტაცია სტრუქტურირებულია, სრულყოფილად ასახავს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კომპონენტებს და შინაარსობრივად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „სქილვილის“ მისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაიხ. ი. თავაძე
[ხელმოწერები]



- შპს "სქილვილ"-ის სტრატეგიული გავითარების გეგმა 2025-2031 წწ
- დაწესებულების 2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანებით (ბოლო ცვლილება – 2025 წლის 31 ოქტომბრის №002087) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“
- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 6 მარტის №00004500 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული მარკეტინგი“;
- გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუჩი
6. კ. ი. თავაძე
[Signature]
[Signature]



6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მარკეტინგი“ განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს შესაბამისი სასწავლო აუდიტორიები, თუმცა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა შეფასების მომენტისთვის სრულად უზრუნველყოფილი არ არის.

ვიზიტის დროს დადგინდა, რომ გამოყოფილი სასწავლო გარემოები არ იყო აღჭურვილი პროფესიული სტუდენტებისთვის საჭირო ინვენტარით, კერძოდ, მაგიდეებითა და სკამებით. ასევე, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, არ იყო უზრუნველყოფილი საჭირო კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის.

პროგრამის „ციფრული მარკეტინგი“ სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის მნიშვნელოვანია კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი ციფრული რესურსების ხელმისაწვდომობა, ვინაიდან პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების, ონლაინ პლატფორმების, ანალიტიკური საშუალებებისა და ციფრული საკომუნიკაციო არხების პრაქტიკულ გამოყენებასთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 3 ივლისის №00012685(ცვლილება 04.08.2026წ No00016118) ბრძანებით დამტკიცებული „შპს „სქილვილის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის „ციფრული მარკეტინგი“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენასა და სასწავლო გარემოს სრულად აღჭურვას. გეგმაში განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და მათი განხორციელების ვადები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.08.2026წ. ი. თავაძე
[ხელმოწერები]



დაწესებულების მიერ განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფის გეგმა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო გარემოს მოწყობის დაგეგმილი ღონისძიებები მიუთითებს, რომ დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს პროგრამის რესურსული საჭიროებები და განსაზღვრული აქვს მათი უზრუნველყოფის კონკრეტული მექანიზმი. თუმცა, ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის აღნიშნული ღონისძიებების სრულად განხორციელება დასრულებული არ იყო.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, არსებული მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების სრულფასოვან განხორციელებას იმ მოცულობით, რაც საჭიროა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. ამასთან, დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფა გათვალისწინებულია დაწესებულების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში და მისი შესრულება განსაზღვრულია კონკრეტულ ვადებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 2.2.1.1, როგორც დაწესებულების მიერ, ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შეფასებულია „მეტწილად შესაბამისი“.**

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დაკავშირებული ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მარკეტინგი“ განხორციელებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესაბამისი რესურსი და მათი საათობრივი დატვირთვა გათვლილია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროგრამის განხორციელებაში გათვალისწინებულია 27 პროფესიული განათლების მასწავლებლის მონაწილეობა, რომელთაგან 17 ახორციელებს ზოგად მოდულებს, მათ შორის ქართული ენის მოდულებს, ხოლო 10 პროფესიულ მოდულებს. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ აღემატება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი ადამიანური რესურსის რაოდენობა და მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილება შეესაბამება პროგრამის განხორციელების საჭიროებებს და ქმნის პროგრამის მდგრად განხორციელების შესაძლებლობას პროფესიულ სტუდენტთა განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის პირობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაიხ. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამის „ციფრული მარკეტინგი“ განხორციელებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი რაოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებლები, ხოლო მათი საათობრივი დატვირთვა შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისად, პროგრამის ადამიანური რესურსი უზრუნველყოფს მისი განხორციელების მდგრადობას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში მოქმედი შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 17 ივლისის No 00014915 ბრძანებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქციები, უფლებამოსილებები, მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა გააჩნდეს შესაბამისი მიმართულების უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის ან/და შესაბამისი მიმართულებით სწავლების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მარკეტინგი“ განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები დარგობრივი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების თვალსაზრისით შეესაბამებიან დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის ახლად შერჩეულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს შეფასების პროცესისა და პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების გამომუშავების მიმართულებით შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია ჯერ სრულად არ აქვს განვითარებული. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემული ინდიკატორის კონტექსტში, რადგან პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპეტენცია უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2024
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



მოიცავდეს არა მხოლოდ შესაბამის დარგში ცოდნასა და გამოცდილებას, არამედ პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მათი ობიექტური შეფასების უნარს.

გამოვლენილი საჭიროების საპასუხოდ, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 3-თვიანი ვადა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები და იდენტიფიცირებული აქვს მათი სწავლებისა და შეფასების კომპეტენციების განვითარების საჭიროება. ამასთან, შეფასების მომენტისთვის მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს არ ჰქონდა სრულად გამომუშავებული პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების სწავლებისა და შეფასებისთვის საჭირო კომპეტენციები. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრულია კონკრეტული ღონისძიება და მისი განხორციელების ვადა.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მარკეტინგი“ განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა დარგობრივი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს, თუმცა ახალ მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს შეფასებისა და სწავლის შედეგების გამომუშავების მიმართულებით შესაბამისი კომპეტენციის განვითარება კვლავ ესაჭიროება. აღნიშნული კომპეტენციების გასაძლიერებლად დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გათვალისწინებული აქვს 3-თვიან ვადაში მასწავლებელთა გადამზადება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია „მეტწილად შესაბამისი“.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში მოქმედი შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 17 ივლისის No 00014915 ბრძანებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებს, უფლებამოსილებებს, მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2026
ი. თავაძე
მ. მანუაშვილი
მ. მანუაშვილი



დოკუმენტის შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მიმართულების უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის ან/და შესაბამისი მიმართულებით სწავლების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, პირადი საქმე და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დადგინდა, რომ შპს „სქილვილის“ დირექტორის ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მარკეტინგი“ ხელმძღვანელად დანიშნულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გამართა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან. ინტერვიუს პროცესში პროგრამის ხელმძღვანელმა წარმოაჩინა პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროგრამის სტრუქტურის, განხორციელების თავისებურებებისა და განვითარების მექანიზმების საფუძვლიანი ცოდნა. გასაუბრების შედეგებმა, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთად, დაადასტურა მისი დარგობრივი კომპეტენცია, პროფესიული გამოცდილება და პროგრამის ეფექტიანად მართვისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელი აკმაყოფილებს დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ხოლო მისი განათლება, პროფესიული გამოცდილება და ინტერვიუს დროს გამოვლენილი კომპეტენცია უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან მართვასა და განვითარებას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში მოქმედი შპს „სქილვილის“ დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანებით (ცვლილება – 2025 წლის 20 სექტემბრის №00017643) დამტკიცებული „ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი“, რომელიც არეგულირებს ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების პირობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქ. ი. თავაძე
[Signature]
[Signature]



წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ვიზიტის ფარგლებში ელექტრონული რესურსების დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მარკეტინგი“ განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ელექტრონული ბიბლიოთეკა და რესურსცენტრი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობას როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის. წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, ხოლო მათი გამოყენების წესი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან მხარდაჭერას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნა რეგულირდება შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ (ბოლო ცვლილება – №00007511, 30.04.2026), კერძოდ, მე-17, მე-18 და მე-19 მუხლებით, რომლებიც არეგულირებს სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, სასწავლო პროცესის აკომოდაციასა და ადაპტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას.

წარმოდგენილი რეგულაციების თანახმად, კოლეჯში განსაზღვრულია სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებისა და სასწავლო პროცესის ადაპტირების მექანიზმები. კერძოდ, მე-17 და მე-18 მუხლებით დადგენილია, რომ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ითვალისწინებს როგორც მოდიფიკაციას (სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას), ასევე აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომების ცვლილებას სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე). ამასთან, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობა, ხოლო გეგმა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ და გამოიყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2025
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



ამავე წესის მე-19 მუხლი არეგულირებს შშმ და სსსმ პირებისთვის ადაპტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას, რაც მოიცავს ფიზიკურ ხელმისაწვდომობას, კონსულტირებისა და კომუნიკაციის მხარდაჭერას, ასევე სასწავლო მატერიალური რესურსებით (მათ შორის კომპიუტერთა და ინტერნეტით) სარგებლობის შესაძლებლობას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული მარკეტინგი“ ფინანსდება სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში. პროგრამისთვის შემუშავებულია ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ ძირითად ხარჯებს, მათ შორის პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებებს, სასწავლო რესურსებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენას, სტუდენტთა აქტივობებისა და პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსებას, ასევე პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების ხარჯებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის რენტაბელობის მინიმალურ ზღვარს წარმოადგენს 20 პროფესიული სტუდენტი. წარმოდგენილი ბიუჯეტის ანალიზი აჩვენებს, რომ მასში ასახულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი ფინანსური რესურსები და ხარჯების ძირითადი კატეგორიები.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული მარკეტინგი“
- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 3 ივლისის №00012685(ცვლილება 04.08.2026წ No00016118) ბრძანებით დამტკიცებული „შპს „სქილვილის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“.
- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 17 ივლისის No 00014915 ბრძანებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“.
- პირადი საქმეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაიხ. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632(ბოლო ცვლილება – №00007511, 30.04.2026) ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესი“.
- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანებით (ცვლილება – 2025 წლის 20 სექტემბრის №00017643) დამტკიცებული „ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი“,
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუება.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

- 2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით
3. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
4. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნა რეგულირდება შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №17631 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ (ცვლილება – №00000516, 15.01.2026).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაქ. ი. თავაძე
[Signature]
[Signature]



წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კოლეჯში განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლებიც მოიცავს: საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის სამართლებრივი შეფასების მექანიზმს, შიდა პროცესებისა და მტკიცებულებების შეფასების მექანიზმს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს, შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, თვითშეფასებას, კვლევების განხორციელებას, გარე მარეგულირებლის მიერ განხორციელებული შეფასებების შედეგების გამოყენებასა და სხვა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

ამავე დოკუმენტით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში გამოსაყენებელი კვლევის ინსტრუმენტები, მათ შორის: თვითშეფასების კითხვარი, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილების კითხვარი, საგანმანათლებლო პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი, ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი, კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი, დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი და საკონტაქტო საათზე დასწრების შეფასების კითხვარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის უკუკავშირის სისტემური მეგროვების მექანიზმები. კვლევების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი შემდგომი განვითარების პროცესში, რაც ხელს უწყობს პროგრამების უწყვეტ განვითარებას და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

9. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 3 ივლისის №00012685(ცვლილება 04.08.2026წ №00016118) ბრძანებით დამტკიცებული „შპს „სქილვილის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენასა და სასწავლო გარემოს სრულად აღჭურვას. გეგმაში განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და მათი განხორციელების ვადები.

დაწესებულების მიერ განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფის გეგმა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო გარემოს მოწყობის დაგეგმილი ღონისძიებები მიუთითებს, რომ დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს პროგრამის რესურსული საჭიროებები და განსაზღვრული აქვს მათი უზრუნველყოფის კონკრეტული მექანიზმი. თუმცა, ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის აღნიშნული ღონისძიებების სრულად განხორციელება დასრულებული არ იყო.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, არსებული მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების სრულფასოვან განხორციელებას იმ მოცულობით, რაც საჭიროა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. ამასთან, დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფა გათვალისწინებულია დაწესებულების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში და მისი შესრულება განსაზღვრულია კონკრეტულ ვადებში.

ვიზიტის მომენტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სასწავლო აუდიტორიები, თუმცა პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მათ შორის სტუდენტებისთვის საჭირო ინვენტარი და კომპიუტერული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2026
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



ტექნიკა, სრულად უზრუნველყოფილი არ არის. აღნიშნული რესურსების შეძენა და სასწავლო გარემოს სრულად აღჭურვა გათვალისწინებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1, როგორც დაწესებულების მიერ, ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შეფასებულია „მეტწილად შესაბამისი“.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი საათობრივი დატვირთვა.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 32 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათგან 26 ახორციელებს ზოგად მოდულებს, მათ შორის ქართული ენის მოდულებს, ხოლო 6 – პროფესიულ მოდულებს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი საათობრივი დატვირთვა გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად. წარმოდგენილი მონაცემებით, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ აღემატება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნული გარემოებები ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ განხორციელების მდგრადობის საფუძველს.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაიხ. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში მოქმედი შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 17 ივლისის No 00014915 ბრძანებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქციები, უფლებამოსილებები, მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა გააჩნდეს შესაბამისი მიმართულების უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის ან/და შესაბამისი მიმართულებით სწავლების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები დარგობრივი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების თვალსაზრისით შეესაბამებიან დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის ახლად შერჩეულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს შეფასების პროცესისა და პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების გამომუშავების მიმართულებით შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია ჯერ სრულად არ აქვს განვითარებული. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემული ინდიკატორის კონტექსტში, რადგან პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპეტენცია უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ შესაბამის დარგში ცოდნასა და გამოცდილებას, არამედ პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მათი ობიექტური შეფასების უნარს.

გამოვლენილი საჭიროების საპასუხოდ, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 3-თვიანი ვადა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები და იდენტიფიცირებული აქვს მათი სწავლებისა და შეფასების კომპეტენციების განვითარების საჭიროება. ამასთან, შეფასების მომენტისთვის მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2026
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]

არ ჰქონდა სრულად გამომუშავებული პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების სწავლებისა და შეფასებისთვის საჭირო კომპეტენციები. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრულია კონკრეტული ღონისძიება და მისი განხორციელების ვადა.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მარკეტინგი“ განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა დარგობრივი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს, თუმცა ახალ მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს შეფასებისა და სწავლის შედეგების გამომუშავების მიმართულებით შესაბამისი კომპეტენციის განვითარება კვლავ ესაჭიროება. აღნიშნული კომპეტენციების გასაძლიერებლად დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გათვალისწინებული აქვს 3-თვიან ვადაში მასწავლებელთა გადამზადება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია „მეტწილად შესაბამისი“.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში მოქმედი შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 17 ივლისის No 00014915 ბრძანებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებს, უფლებამოსილებებს, მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

დოკუმენტის შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მიმართულების უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის ან/და შესაბამისი მიმართულებით სწავლების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, პირადი საქმე და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დადგინდა, რომ შპს „სქილვილის“ დირექტორის ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ ხელმძღვანელად დანიშნულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გამართა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან. ინტერვიუს პროცესში პროგრამის ხელმძღვანელმა წარმოაჩინა პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროგრამის სტრუქტურის, განხორციელების თავისებურებებისა და განვითარების მექანიზმების საფუძველიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2026
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



ცოდნა. გასაუბრების შედეგებმა, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთად, დაადასტურა მისი დარგობრივი კომპეტენცია, პროფესიული გამოცდილება და პროგრამის ეფექტიანად მართვისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელი აკმაყოფილებს დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ხოლო მისი განათლება, პროფესიული გამოცდილება და ინტერვიუს დროს გამოვლენილი კომპეტენცია უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან მართვასა და განვითარებას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში მოქმედი შპს „სქილვილის“ დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანებით (ცვლილება – 2025 წლის 20 სექტემბრის №00017643) დამტკიცებული „ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი“, რომელიც არეგულირებს ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების პირობებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ვიზიტის ფარგლებში ელექტრონული რესურსების დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ელექტრონული ბიბლიოთეკა და რესურსცენტრი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობას როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის. წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, ხოლო მათი გამოყენების წესი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან მხარდაჭერას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2025
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნა რეგულირდება შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ (ბოლო ცვლილება – №00007511, 30.04.2026), კერძოდ, მე-17, მე-18 და მე-19 მუხლებით, რომლებიც არეგულირებს სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, სასწავლო პროცესის აკომოდაციასა და ადაპტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას.

წარმოდგენილი რეგულაციების თანახმად, კოლეჯში განსაზღვრულია სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებისა და სასწავლო პროცესის ადაპტირების მექანიზმები. კერძოდ, მე-17 და მე-18 მუხლებით დადგენილია, რომ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ითვალისწინებს როგორც მოდიფიკაციას (სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას), ასევე აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომების ცვლილებას სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე). ამასთან, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობა, ხოლო გეგმა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ და გამოიყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.

ამავე წესის მე-19 მუხლი არეგულირებს შშმ და სსსმ პირებისთვის ადაპტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას, რაც მოიცავს ფიზიკურ ხელმისაწვდომობას, კონსულტირებისა და კომუნიკაციის მხარდაჭერას, ასევე სასწავლო მატერიალური რესურსებით (მათ შორის კომპიუტერთა და ინტერნეტით) სარგებლობის შესაძლებლობას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ ფინანსდება სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში. პროგრამისთვის შემუშავებულია ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ ძირითად ხარჯებს, მათ შორის პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებებს, სასწავლო რესურსებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენას, სტუდენტთა აქტივობებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. კ. მ. თაყაიშვილი
[ხელმოწერები]



და პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსებას, ასევე პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების ხარჯებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის რენტაბელობის მინიმალურ ზღვარს წარმოადგენს 20 პროფესიული სტუდენტი. წარმოდგენილი ბიუჯეტის ანალიზი აჩვენებს, რომ მასში ასახულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი ფინანსური რესურსები და ხარჯების ძირითადი კატეგორიები.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“
- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 3 ივლისის №00012685(ცვლილება 04.08.2026წ №00016118) ბრძანებით დამტკიცებული „შპს „სქილვილის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“.
- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 17 ივლისის № 00014915 ბრძანებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“.
- პირადი საქმეები.
- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632(ბოლო ცვლილება – №00007511, 30.04.2026) ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესი“.
- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანებით (ცვლილება – 2025 წლის 20 სექტემბრის №00017643) დამტკიცებული „ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი“,
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. კი. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნა რეგულირდება შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №17631 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ (ცვლილება – №00000516, 15.01.2026).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კოლეჯში განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლებიც მოიცავს: საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის სამართლებრივი შეფასების მექანიზმს, შიდა პროცესებისა და მტკიცებულებების შეფასების მექანიზმს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს, შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, თვითშეფასებას, კვლევების განხორციელებას, გარე მარეგულირებლის მიერ განხორციელებული შეფასებების შედეგების გამოყენებასა და სხვა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

ამავე დოკუმენტით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში გამოსაყენებელი კვლევის ინსტრუმენტები, მათ შორის: თვითშეფასების კითხვარი, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილების კითხვარი, საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუჩი
6. ქაქ. ი. თავაძე
[Signature]
[Signature]



პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი, ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი, კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი, დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი და საკონტაქტო საათზე დასწრების შეფასების კითხვარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის უკუკავშირის სისტემური შეგროვების მექანიზმები. კვლევების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი შემდგომი განვითარების პროცესში, რაც ხელს უწყობს პროგრამების უწყვეტ განვითარებას და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნა რეგულირდება შპს „სქილვილის“ დირექტორის მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებების განხორციელებისა და გაუქმების წესით“, კერძოდ, IV თავით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, ცვლილებების განხორციელება, გაუქმება“ (მუხლები 18–21).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კოლეჯში განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, ცვლილებების დაგეგმვის, ინიცირებისა და განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და პროცედურები. დოკუმენტის შესაბამისად, პროგრამაში ცვლილებები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც კოლეჯის ინიციატივით, ისე პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროგრამის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების ან სხვა ნორმატიული მოთხოვნების ცვლილების შემთხვევაში.

კოლეჯის ინიციატივით პროგრამის განვითარება ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების შედეგებს, ხარისხის მართვის გუნდის რეკომენდაციებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და, საჭიროების შემთხვევაში, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგებს, ასევე საკანონმდებლო ცვლილებებსა და დარგში ახალი ტექნოლოგიებისა და მიდგომების დანერგვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.10.2023
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



პროგრამის განვითარების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობას და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია პროგრამაში ცვლილებების განხორციელების პროცედურები, მათ შორის ცვლილებების განხილვის, დამტკიცების, ავტორიზაციის საბჭოსთან შეთანხმების (საჭიროების შემთხვევაში) და პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მათი ასახვის წესი. ამასთან, დეტალურად არის ჩამოთვლილი კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში დასაშვები ცვლილებების სახეები, რაც მოიცავს პროგრამის სახელწოდების, სტრუქტურის, სასწავლო გეგმის, განხორციელების ფორმის, სასწავლო რესურსების, სწავლების მეთოდებისა და სხვა კომპონენტების ცვლილებას.

წარმოდგენილი რეგულაციები ადასტურებს, რომ დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, ცვლილებების მართვისა და მათი სამართლებრივი გაფორმების სისტემური პროცედურები, რომლებიც ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გამოყენებას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №17631(ცვლილება – №00000516, 15.01.2026) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“.
- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებით № 00020870 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“
- კმაყოფილების კითხვარის ფორმები
- ინტერვიუება

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.10.2025
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
1. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
2. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
3. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
4. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
5. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ მოიცავს როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი სწავლების სასწავლო გეგმებს. სასწავლო გეგმებში განსაზღვრულია მოდულების განხორციელების ლოგიკური თანმიმდევრობა, ხოლო კვირეული საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის – „შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს.

წარმოდგენილი სასწავლო გეგმების ანალიზით დგინდება, რომ პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს მოდულების თანმიმდევრულ განხორციელებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები, რაც ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან და შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაქ. ი. თავაძე
[ხელმოწერები]



2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კოლეჯში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების მექანიზმები. დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა გამოკითხვის სისტემა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული უკუკავშირის სისტემატური შეგროვება და ანალიზი, ხოლო მიღებული შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სტუდენტთა პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს კარიერული განვითარების მიმართულება/კარიერული ზრუნვის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სერვისების შეთავაზებას პროფესიული სტუდენტებისთვის.

დოკუმენტაციით ასევე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება მის საგანმანათლებლო საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესი რეგულირდება კოლეჯის შიდა აქტებით.

ამასთან, წარმოდგენილი რეგულაციების საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული სტუდენტების უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია კოლეჯის შინაგანაწესითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით, რაც ქმნის სტუდენტებისთვის თანასწორი, უსაფრთხო და ხარისხიანი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის განხორციელების დაგეგმილი მოდელის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის ინტერუმენტები“ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაიხ. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



პროგრამის განხორციელების ფარგლებში გათვალისწინებულია დისტანციური სწავლება, რომლისთვისაც დაწესებულება იყენებს Zoom-ისა და სხვა შესაბამის ციფრულ პლატფორმებს. სასწავლო მასალების, დავალებებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მართვა ხორციელდება Learning Management System (LMS) პლატფორმის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს შორის კომუნიკაციას, სასწავლო რესურსებზე წვდომასა და სასწავლო პროცესის უწყვეტობას.

პროგრამის დარგობრივი მიმართულების გათვალისწინებით, ციფრული ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ელექტრონული პლატფორმების გამოყენება შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკასთან და ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტებისათვის დარგთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განხორციელების დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამედროვე სწავლების მიდგომებს და ითვალისწინებს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. შესაბამისად, **ინდიკატორი 2.3.1.3 შეფასდა „შესაბამება“.**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნა რეგულირდება შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ (ცვლილება – 2026 წლის 30 აპრილის №00007511), კერძოდ, მე-17 მუხლით – „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“ და მე-18 მუხლით – „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კოლეჯში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის, მათ შორის სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების, საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცედურები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და აღწერს სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.

დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძვლები, მათ შორის მობილობის შედეგად ჩარიცხული სტუდენტის განსხვავებული სწავლის შედეგების არსებობა, სტატუსის აღდგენის შემდგომ სასწავლო პროცესში ჩართვის საჭიროება, სსსმ ან შშმ სტუდენტის საჭიროებები, პროგრამის ცვლილება/გაუქმება ან ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2025
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული არიან სასწავლო პროცესის მართვის გუნდის წარმომადგენელი, შესაბამისი პროფესიული მასწავლებელი/მასწავლებლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – პროფესიული სტუდენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი. სსსმ ან შშმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს საჭიროების შესაბამისად სასწავლო პროცესის აკომოდაციასა და/ან მოდიფიკაციას, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების განსაზღვრას.

წარმოდგენილი რეგულაციის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობას სსსმ და შშმ პირის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძვლად გამოიყენება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შეფასება, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის შესაძლებლობებს, ძლიერ მხარეებს, განვითარების თავისებურებებსა და საჭირო მხარდაჭერის მიმართულებებს.

დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია, რომ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, ხოლო მისი განხორციელების მონიტორინგი ხორციელდება სპეციალური გუნდის მიერ, რომელიც განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის სამართლებრივი აქტით.

წარმოდგენილი რეგულაციები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში შექმნილია პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობას და საგანმანათლებლო პროცესში თანაბარ ჩართულობას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ განხორციელება დაგეგმილია იმიტირებულ სასწავლო გარემოში, დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. კ. ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]

მარის ხელმოწერა:



4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნა რეგულირდება შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ (ცვლილება – 30.04.2026 №00007511), კერძოდ, 23-ე მუხლით – „შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და ვალიდაცია“.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კოლეჯში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურები. დოკუმენტის შესაბამისად, შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო ინსტრუმენტით განისაზღვრება შესაფასებელი სწავლის შედეგები და შეფასების მიმართულება.

რეგულაციის თანახმად, შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებას და მოიცავდეს შეფასების განხორციელებისთვის აუცილებელ ინფორმაციას, მათ შორის: მოდულის სახელწოდებას, კრედიტების რაოდენობას, შესაფასებელ სწავლის შედეგებს, შეფასებისთვის საჭირო დროსა და რესურსებს, შეფასების მიმართულებას, მტკიცებულებებს, დავალების აღწერას/ინსტრუქციას, შეფასების სქემას, გადაბარებისა და აპელაციის პროცედურებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია ხორციელდება სწავლის შედეგებთან მათი ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვალიდაციის პროცესში ჩართულია სასწავლო პროცესის მენეჯერი და შესაბამისი დარგის სპეციალისტი, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის პრინციპის დაცვით.

დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმების პროცედურაც, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელი შემუშავებულ ინსტრუმენტს შეფასების განხორციელებამდე წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად აფასებს მის ვალიდურობას. ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ინსტრუმენტი უბრუნდება ავტორს შესაბამისი რეკომენდაციებით, ხოლო შესწორების შემდეგ ხორციელდება მისი ხელახალი განხილვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. კ. მ. ი. თავაძე
[ხელმოწერები]



წარმოდგენილი რეგულაციების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შემოწმებისა და დამტკიცების პროცესი, რაც ხელს უწყობს შეფასების ობიექტურობას, სანდოობასა და პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ადეკვატურ შეფასებას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შესაბამება“.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნა რეგულირდება შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №17631 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ (ცვლილება – 15.01.2026 №00000516), კერძოდ, მე-3 მუხლით – „შეფასების სისტემის ვერიფიკაცია“.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კოლეჯში განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მიზანია შეფასების სისტემის შესაბამისობის დადგენა შეფასების ძირითად პრინციპებთან და მისი მუდმივი გაუმჯობესების ხელშეწყობა.

დოკუმენტის შესაბამისად, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესით უზრუნველყოფილია შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის შეფასება. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

წარმოდგენილი რეგულაციით განსაზღვრულია, რომ ვერიფიკაციას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის პრინციპის დაცვით. ჯგუფში შესაძლებელია მონაწილეობდნენ ხარისხის მართვის გუნდის წარმომადგენელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და შესაბამისი დარგის/განათლების სპეციალისტი.

დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპები, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი შემოწმება, შეფასების პროცესზე დაკვირვება და შექმნილი მტკიცებულებების შეფასება. ასევე განსაზღვრულია რისკებზე დაფუძნებული მიდგომა, რომლის მიხედვითაც ვერიფიკაციის პროცესში შერჩევის მოცულობა და მიმართულებები განისაზღვრება გამოვლენილი რისკ-ფაქტორების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქ. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



წარმოდგენილი რეგულაციების თანახმად, ვერიფიკაციის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, რომელიც მოიცავს პროცესის აღწერას, მიღებულ შედეგებს, გამოვლენილ საკითხებსა და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესების რეკომენდაციებსა და სამოქმედო გეგმას. ხარისხის მართვის გუნდი უზრუნველყოფს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს და ვერიფიკაციის შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში შექმნილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესის შესაბამისობას ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებთან და ხელს უწყობს შეფასების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნა რეგულირდება შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ (ცვლილება – 30.04.2026 №00007511), კერძოდ, 24-ე მუხლით – „შეფასების მტკიცებულებები და უწყისის გაფორმება“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კოლეჯში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, შეფასების შედეგების აღრიცხვისა და შესაბამისი მტკიცებულებების შენახვის პროცედურები.

დოკუმენტის თანახმად, პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური და/ან ელექტრონული სახით შექმნილი მტკიცებულებებით. შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, ინფორმაციასა და მტკიცებულებებს პროფესიული განათლების მასწავლებელი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის გუნდს სათანადო აღრიცხვის მიზნით.

წარმოდგენილი რეგულაციით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება შესაბამისი შეფასების უწყისით, ხოლო კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასების პროცესთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2025
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების დადასტურების, დოკუმენტირების, აღრიცხვისა და შენახვის მექანიზმი, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, მიკვლევადობასა და ხარისხის უზრუნველყოფას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კოლეჯში ხორციელდება პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი. აღნიშნული მონაცემები მოიცავს პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების დადასტურებისა და ვერ დადასტურების მაჩვენებლებს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

დოკუმენტაციის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მიღებული შეფასების შედეგების შესახებ შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. შეფასების შედეგების გაცნობის ვადა განისაზღვრება მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით: იმ შემთხვევაში, თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, შეფასების შედეგი სტუდენტს ეცნობება არაუგვიანეს ორი დღის ვადაში, ხოლო სხვა შემთხვევაში – ხუთი დღის ვადაში.

აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სტუდენტებისთვის დროული უკუკავშირის მიწოდებას და შეფასების შედეგების გამოყენებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 (ცვლილება – 2026 წლის 30 აპრილის №00007511) ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესი“;
- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №17631(ცვლილება – 15.01.2026 №00000516) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ვერიფიკაციის დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.01.2026
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

დაწესებულებაში მოქმედებს შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 17 ივლისის №00014915 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უშუალო ხელმძღვანელები, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობის სფეროები. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს დაწესებულების ორგანიზაციული მართვისა და ფუნქციური პასუხისმგებლობების განაწილების მარეგულირებელ საფუძველს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულების მმართველობით საქმიანობას ახორციელებენ დირექტორი, დირექტორის მოადგილე, აკადემიური დირექტორი, ფინანსური და ოპერაციული დირექტორი, სტუდენტთა წარმატების დირექტორი, ადამიანური რესურსების მართვის ხელმძღვანელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაქ. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



მარკეტინგისა და გაყიდვების ხელმძღვანელი და ფილიალის მენეჯერი. დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებს ხარისხის მართვის, კარიერული განვითარების, ინსტიტუციური განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების, სასწავლო პროცესის მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის, ორგანიზაციული მხარდაჭერისა და ფილიალის მართვის გუნდები, რომელთა ფუნქციები და პასუხისმგებლობის სფეროები შესაბამისი დოკუმენტით არის განსაზღვრული.

დოკუმენტში თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრულია ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უშუალო ხელმძღვანელი და ანგარიშვალდებული პირი, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა პასუხისმგებლობების განსაზღვრულობასა და ორგანიზაციულ სტრუქტურაში მათი როლის სიცხადეს. მაგალითად, აკადემიური პერსონალის მართვის მენეჯერის, აკადემიური პროცესის მართვის კოორდინატორისა და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები შესაბამისი პოზიციების სპეციფიკის გათვალისწინებით არის აღწერილი.

დაწესებულებაში ცალკე არის განსაზღვრული ფინანსური და ოპერაციული მიმართულების, IT მხარდაჭერის, სამართლებრივი, საბუღალტრო და სხვა ადმინისტრაციული ფუნქციები. ფინანსური და ოპერაციული დირექტორის პასუხისმგებლობაში შედის ფინანსური მართვა, ანგარიშგება, ბიუჯეტირება, ფინანსური რესურსების დაგეგმვა და ოპერაციული პროცესების ზედამხედველობა, ხოლო მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების ფუნქციები შესაბამისი მიმართულებების მიხედვით არის განსაზღვრული.

ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებაც სტრუქტურულად და ფუნქციურად არის განსაზღვრული. ხარისხის მართვის მიმართულების შესაბამისი პოზიციებისთვის დოკუმენტით გათვალისწინებულია მათი პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება, რაც ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ორგანიზებულ განხორციელებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულების ძირითადი ადმინისტრაციული ფუნქციები ცენტრალიზებულად ხორციელდება თბილისის ლოკაციიდან, ხოლო ქუთაისის ფილიალში ამ ეტაპზე დასაქმებულია ფილიალის მენეჯერი, ხარისხის მართვის კოორდინატორი, აკადემიური პროცესის კოორდინატორი, სტუდენტთა წარმატების მენეჯერი და ექთანი. ფილიალის მენეჯერის ფუნქციები მოიცავს ფილიალის საქმიანობის ორგანიზებასა და შესაბამის ცენტრალურ სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციას, რაც უზრუნველყოფს ფილიალის საქმიანობის მართვასა და ცენტრალურ ადმინისტრაციასთან ეფექტიან კომუნიკაციას.

ადმინისტრაციის განმარტებით, ქუთაისის ფილიალში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დაწყებასა და საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებით დაგეგმილია დამატებითი ადამიანური რესურსის ეტაპობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქ. თ. თავმჯდომარის ხელმოწერა
წევრების ხელმოწერები



დასაქმება. აღნიშნული უზრუნველყოფს ფილიალის საქმიანობის მოცულობის ზრდასთან ერთად შესაბამისი ფუნქციების ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული დოკუმენტისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომლების ფუნქციები განსაზღვრულია მათი საქმიანობის მიმართულებების შესაბამისად, ხოლო დაქვემდებარებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების ორგანიზაციულ განაწილებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების მმართველობითი, ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე საქმიანობის ორგანიზებულ განხორციელებას. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა ეფუძნება საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით პასუხისმგებლობების განაწილებას, რაც უზრუნველყოფს მმართველობითი, საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და მხარდაჭერის პროცესების ურთიერთკავშირს. სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა დაკავშირებულია შესაბამისი მიმართულებების მართვასთან, შესრულების უზრუნველყოფასა და საჭირო ინფორმაციის გაცვლასთან.

საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში ფუნქციურად დაკავშირებულია აკადემიური მიმართულება, პროგრამის ხელმძღვანელები, სასწავლო პროცესის მართვის მიმართულება, აკადემიური პერსონალი და ხარისხის მართვის მიმართულება. აღნიშნული ერთეულების საქმიანობა მოიცავს პროგრამების განხორციელების, სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისა და სწავლების გაუმჯობესებისათვის საჭირო პროცესებს. მაგალითად, პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო შინაარსისა და პრაქტიკული კომპონენტების მართვას, სტუდენტთა პროგრესისა და სასწავლო შედეგების ანალიზს, ხოლო აკადემიური პროცესის მართვის კოორდინატორი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და ლექციების ადმინისტრირებას, LMS აქტივობებისა და შეფასებების მონიტორინგს და შესაბამის კომუნიკაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2024
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



ადმინისტრაციული და მხარდამჭერი პროცესების მიმართულებით ფუნქციები განაწილებულია შესაბამის პასუხისმგებელ პირებს შორის, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ყოველდღიური საქმიანობისთვის აუცილებელი პროცესების განხორციელებას. ფინანსური და ოპერაციული მიმართულება უზრუნველყოფს ბიუჯეტირებას, ფინანსურ ანგარიშგებას, რესურსების დაგეგმვასა და ოპერაციული საქმიანობის მართვას, ხოლო შესაბამისი თანამშრომლები ახორციელებენ ფინანსური და ოპერაციული მონაცემების დამუშავებასა და ანგარიშგებას.

სტრუქტურული ერთეულების ურთიერთქმედება გათვალისწინებულია მათი ფუნქციების განხორციელების პროცესშიც. თანამშრომლების სამუშაო აღწერილობებში განსაზღვრულია შესაბამისი მიმართულებებთან თანამშრომლობა, ინფორმაციის მიწოდება და ერთობლივ პროცესებში მონაწილეობა. აღნიშნული ქმნის მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ერთი მიმართულების მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგები გამოიყენება სხვა შესაბამისი პროცესების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

ფუნქციების ასეთი ორგანიზება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას, ვინაიდან პროგრამის დაგეგმვა, სასწავლო პროცესის ადმინისტრირება, აკადემიური პერსონალის საქმიანობა, სტუდენტთა მხარდაჭერა, ხარისხის უზრუნველყოფა და რესურსების მართვა ერთმანეთთან დაკავშირებული პროცესებია. დაწესებულების არსებული სტრუქტურა უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებების შესაბამის პასუხისმგებელ პირებს შორის განაწილებას და მათ კოორდინირებულ საქმიანობას.

ქუთაისის ფილიალის შემთხვევაში ძირითადი ადმინისტრაციული მხარდაჭერა ცენტრალიზებულად ხორციელდება თბილისის ლოკაციიდან, ხოლო ადგილზე არსებული ფილიალის მენეჯერი და სხვა დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ ფილიალის მიმდინარე საქმიანობის შესაბამის მიმართულებებს. ამგვარი ორგანიზება იძლევა ცენტრალური ადმინისტრაციის რესურსების გამოყენებისა და ფილიალის ადგილობრივი საჭიროებების ერთობლივად მართვის შესაძლებლობას. ადმინისტრაციის განმარტებით, ფილიალის საქმიანობის გაფართოებასთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დაწყებასთან ერთად გათვალისწინებულია ადამიანური რესურსის დამატება.

ამგვარად, სტრუქტურულ ერთეულებს შორის პასუხისმგებლობების განაწილება არა მხოლოდ განსაზღვრავს შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, არამედ უზრუნველყოფს ძირითადი პროცესების ურთიერთკავშირს, კოორდინაციასა და დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებულ განხორციელებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქ. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



განხორციელებისთვის საჭირო პროცესების კოორდინაციასა და ურთიერთდაკავშირებულ მუშაობას. შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს – ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სამუშაო აღწერილობებისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციები განაწილებულია ხარისხის მართვის გუნდსა და მის შემადგენლობაში შემავალ თანამშრომლებს შორის, განსაზღვრული უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად. ხარისხის მართვის მიმართულება ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების კოორდინაციასა და განხორციელებას.

ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების კოორდინაციას, შესაბამისი პროცესების დაგეგმვასა და განხორციელების მონიტორინგს, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერებისა და სპეციალისტების საქმიანობა დაკავშირებულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების განხორციელებასთან, მათ შორის მონიტორინგის, კვლევის, შეფასების, ვერიფიკაციის, მონაცემთა ანალიზისა და შედეგების საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგთან.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს პროცესების ობიექტურად განხორციელებისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობების განაწილებას. ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებში პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციასა და ვერიფიკაციაში მონაწილეობა ხორციელდება „ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით“, რაც მიუთითებს დაწესებულების მიერ აღნიშნული რისკის პრევენციის გათვალისწინებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულების ფუნქციები დაკავშირებულია განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგთან, შეფასებასთან, მონაცემთა ანალიზთან და გაუმჯობესების ღონისძიებების მხარდაჭერასთან, რაც ქმნის შესაძლებლობას, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში შეფასდეს როგორც საგანმანათლებლო პროცესების განხორციელება, ისე მათი შედეგები და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე დაიგეგმოს შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებები.

წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობების, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგების საფუძველზე არ გამოვლენილა ისეთი ფუნქციური ან ორგანიზაციული გარემოება, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაი. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



პასუხისმგებელ პირებს საკუთარი საქმიანობის შედეგების შეფასების ან სხვა ფორმით ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის რისკის ქვეშ აყენებს. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების განხორციელებისას გათვალისწინებულია ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ პსდ-ში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია ისე, რომ უზრუნველყოფილია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ობიექტურად და მიუკერძოებლად განხორციელება და ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია. შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის No 00014915 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“
- ორგანიზაციული სტრუქტურა;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- კოლეჯის 2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის 2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუჩიძე
6. ქაფ. ი. თავაძე
[Signature]
[Signature]



ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი შპს „სქილვილის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი და შიდა სამართლებრივი აქტებით რეგულირებული სისტემა, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის მართვის ძირითად პროცესებს – საკადრო საჭიროებების განსაზღვრას, პერსონალის მოზიდვასა და შერჩევას, ახალ თანამშრომელთა ინტეგრაციას, საქმიანობის შეფასებას, პროფესიულ განვითარებას, მოტივაციას, პირადი საქმეების წარმოებასა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

პერსონალის მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის გამჭვირვალე და ობიექტური მექანიზმები, საკონკურსო და სააპელაციო კომისიების საქმიანობის წესი, ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მექანიზმები, პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების ძირითადი პრინციპები. აღნიშნული რეგულაციები ქმნის პერსონალის მართვის პროცესების თანმიმდევრულად და ორგანიზებულად განხორციელების საფუძველს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პერსონალის პირადი საქმეებისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვის ძირითადი პროცესები პრაქტიკაში ხორციელდება დამტკიცებული შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის შერჩევის, დანიშვნის, ინტეგრაციის, საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარებისათვის შესაბამისი პროცედურები განსაზღვრულია დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლინდა გარემოება, რომელიც მიუთითებს პერსონალის მართვის დოკუმენტაციის სრულ ჰარმონიზაციასთან დაკავშირებულ საჭიროებაზე. კერძოდ, 2026 წლის 17 ივლისს No 00014915 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით – „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ – განახლდა რიგი ადმინისტრაციული პოზიციების დასახელებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა აღნიშნული ცვლილებები ამ ეტაპზე სრულად არ არის ასახული მოქმედ შრომით ხელშეკრულებებში. შესაბამისად, განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურისა და პერსონალის მართვის დოკუმენტაციის სრულად შესაბამისობაში მოყვანის პროცესი დასრულებული არ არის.

აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პერსონალის ფუნქციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შრომითი ურთიერთობის პირობები ურთიერთთანმიმდევრულად უნდა აისახოს პერსონალის მართვის შესაბამის დოკუმენტაციაში. არსებული მდგომარეობით, სისტემის ძირითადი მექანიზმები მოქმედებს, თუმცა განახლებული სტრუქტურის დანერგვის შედეგად წარმოშობილი დოკუმენტური ცვლილებების სრულად ასახვის პროცესი ჯერ მიმდინარეობს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2026
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



დაწესებულება ასევე აფართოებს საქმიანობას ქუთაისის ფილიალში, სადაც ამ ეტაპზე დასაქმებულია ფილიალის მენეჯერი, ხარისხის მართვის კოორდინატორი, აკადემიური პროცესის კოორდინატორი და ექთანი. ადმინისტრაციის განმარტებით, ფილიალში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დაწყებასა და საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებით დამატებითი ადამიანური რესურსის შერჩევა და დასაქმება დაგეგმილია ეტაპობრივად. აღნიშნული პროცესი დაკავშირებულია დაწესებულების განვითარების ეტაპთან და, თავისთავად, არ მიუთითებს პერსონალის მართვის პროცედურების დარღვევაზე.

გამოვლენილი დოკუმენტური შეუსაბამობის გათვალისწინებით, დაწესებულების პერსონალის მართვის სისტემის ცალკეული კომპონენტების სრულად შესაბამისობაში მოყვანა განახლებულ ორგანიზაციულ სტრუქტურასთან ჯერ დასრულებული არ არის. აღნიშნული საკითხი ასახულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაშიც, სადაც ინდიკატორი 4.1.2.1 შეფასებულია „მეტწილად“ შესაბამისობად. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია 4-თვიანი სამოქმედო პერიოდი, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, შრომითი ხელშეკრულებებისა და პერსონალის პირადი საქმეების განახლება და მათი ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვის ძირითადი პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, თუმცა განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისი ცვლილებების პერსონალის დოკუმენტაციაში სრულად ასახვის პროცესი დასრულებული არ არის.

გამოვლენილი გარემოების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა სრულად შესრულებულად ვერ ჩაითვლება. ამასთან, პერსონალის მართვის ძირითადი მექანიზმები დაწესებულებაში მოქმედებს და რეგულირდება შესაბამისი შიდა დოკუმენტებით. შესაბამისად, ინდიკატორი 4.1.2.1 შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი შპს „სქილვილის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას პერსონალის შერჩევისა და მიღებისათვის შემუშავებული აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.10.2019
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]

ერთიანი პროცედურები, რომლებიც ეფუძნება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის შერჩევის პრინციპებს.

პერსონალის მართვის პოლიტიკის მე-6 მუხლის შესაბამისად, თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და ეფუძნება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. დოკუმენტის მიხედვით, ობიექტურობის პრინციპი გულისხმობს არადისკრიმინაციული პროცედურების გამოყენებას და სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის მაქსიმალურად გამორიცხვას, ხოლო გამჭვირვალობის პრინციპი – შერჩევის პროცედურების, მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების წინასწარ და მკაფიოდ განსაზღვრას.

პერსონალის შერჩევის პროცესი განსაზღვრულია როგორც მკაფიო და თანმიმდევრული პროცედურა, რომელიც მიზნად ისახავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატების მოზიდვასა და შერჩევას. პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომელთა მიღებას როგორც ღია ან დახურული კონკურსის, ისე კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა რეგულაციით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირდაპირი დანიშვნის გზით.

კონკურსის ჩატარების შემთხვევაში დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით იქმნება შესაბამისი კომისია, რომლის ფუნქციაა ვაკანტურ პოზიციაზე საუკეთესო კანდიდატის შერჩევა. კომისიის რაოდენობრივი და პერსონალური შემადგენლობა, მათ შორის თავმჯდომარის, საჭიროების შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის განსაზღვრა, ასევე რეგულირდება დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს კანდიდატთა შეფასების პროცესის ორგანიზებულად წარმართვას და გადაწყვეტილების მიღებას განსაზღვრული პროცედურის ფარგლებში.

პერსონალის მართვის პოლიტიკა ასევე ითვალისწინებს კონკურსთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მექანიზმს. შესაბამისი კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით დირექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია. შესაბამისად, კანდიდატს გააჩნია კონკურსის პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, რაც დამატებით უზრუნველყოფს შერჩევის პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

პოზიციაზე დასაქმებული პირის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით პოლიტიკის მე-14 მუხლით განსაზღვრულია, რომ პერსონალის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება თანამშრომლის პირად საქმეში, რაც ქმნის დასაქმებული პირის პოზიციასთან შესაბამისობის დადასტურების მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაი. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



ამასთან, პერსონალის მართვის პოლიტიკა პერსონალის მართვის პროცესს განიხილავს უწყვეტ ციკლად, რომელიც მოიცავს საკადრო პოლიტიკის დაგეგმვას, კადრების მოზიდვასა და შერჩევას, ორგანიზაციაში თანამშრომლის ინტეგრაციას, სამუშაოს მართვასა და ორგანიზაციიდან გასვლას. შესაბამისად, პერსონალის შერჩევა დაკავშირებულია დაწესებულების საკადრო საჭიროებების განსაზღვრასა და კონკრეტული სამუშაო პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამოყალიბებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში პერსონალის შერჩევისათვის განსაზღვრულია შესაბამისი პროცედურული და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხოლო კონკურსის შემთხვევაში კანდიდატთა შეფასება ხორციელდება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. არსებული მექანიზმები მიმართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის შერჩევისკენ და ითვალისწინებს შერჩევის პროცესის ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის, შესაბამისი პროცედურებისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ პსდ-ში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოზიდვისა და დასაქმებისათვის აუცილებელი მოთხოვნებისა და პროცედურების არსებობას, ხოლო შერჩევის პროცესში გათვალისწინებულია ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპები. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პერსონალის პირადი საქმეებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, ძირითადად, შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებსა და შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 17 ივლისის №00014915 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით – „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ – ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი საკვალიფიკაციო და დამატებითი მოთხოვნები. აღნიშნული მოთხოვნები წარმოადგენს კონკრეტულ თანამდებობაზე დასაქმებისთვის აუცილებელი კვალიფიკაციის განსაზღვრის საფუძველს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2026
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები და დაადგინა, რომ ისინი მოიცავს თანამდებობის დასაკავებლად საჭირო ძირითად დოკუმენტაციას, მათ შორის ავტობიოგრაფიას (CV), განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, სერტიფიკატებს (არსებობის შემთხვევაში), პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შესაბამის ცნობას, შრომით ხელშეკრულებასა და სამუშაო აღწერილობას. აღნიშნული დოკუმენტაცია იძლევა დასაქმებული პერსონალის განათლების, კვალიფიკაციისა და დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობას.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2026 წლის 17 ივლისს No 00014915 ბრძნებით დამტკიცებული ახალი დოკუმენტით განახლდა ადმინისტრაციული პოზიციების დასახელებები და ცალკეული თანამდებობებისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განახლებული მოთხოვნების ამოქმედების შედეგად პერსონალის არსებული დოკუმენტაციისა და ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების სრულად შესაბამისობაში მოყვანის პროცესი ამ ეტაპზე დასრულებული არ არის.

დაწესებულება ასევე აგრძელებს ქუთაისის ფილიალის ადამიანური რესურსით დაკომპლექტებას. აღნიშნული პროცესი დაკავშირებულია ფილიალის საქმიანობის გაფართოებასთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის ეტაპობრივ უზრუნველყოფასთან. შესაბამისად, ახალი პოზიციების დაკომპლექტება და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის შერჩევა ეტაპობრივად ხორციელდება.

აღნიშნული გარემოებები ასახულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაშიც, სადაც ინდიკატორი 4.1.2.3 შეფასებულია როგორც „მეტწილად“ შესაბამისი. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს განახლებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად პერსონალის დაკომპლექტებას, ასევე პერსონალის პირადი საქმეებისა და შრომითი დოკუმენტაციის შესაბამისობაში მოყვანას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, ძირითადად, შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, თუმცა ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების სრულად დანერგვისა და მათთან დაკავშირებული პერსონალის დოკუმენტაციის ჰარმონიზაციის პროცესი დასრულებული არ არის.

წარმოდგენილი პერსონალის პირადი საქმეებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, ძირითადად, შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, თუმცა განახლებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქაიხ. ი. თავაძე
[ხელმოწერა] [ხელმოწერა] [ხელმოწერა]



საკვალიფიკაციო მოთხოვნების სრულად დანერგვისა და პერსონალის დოკუმენტაციის შესაბამისობაში მოყვანის პროცესი დასრულებული არ არის. შესაბამისად, ინდიკატორი 4.1.2.3 შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, შიდა მარეგულირებელი აქტების, სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებების, აგრეთვე პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება მონაწილეობითი მართვისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების, სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების ფუნქციები და უფლებამოსილებები განსაზღვრულია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით. წარმოდგენილი ბრძანებები სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების შექმნის შესახებ, სხდომების ოქმები და მიღებული გადაწყვეტილებები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში სხვადასხვა საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება თანამშრომელთა ჩართულობითა და კოლეგიური მიდგომით.

წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება, რომ პერსონალის მონაწილეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებით და თანამშრომლები ჩართულნი არიან დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში. სამუშაო ჯგუფებსა და კომისიებში თანამშრომელთა მონაწილეობა ხელს უწყობს გამოცდილებისა და მოსაზრებების გაზიარებას და საერთო გადაწყვეტილებების მიღებას.

ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლები ჩართულნი არიან დაწესებულების მიმდინარე საქმიანობაში, აცნობიერებენ საკუთარ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს და თანამშრომლობენ როგორც შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, ისე კოლეგებთან საერთო მიზნების მისაღწევად. ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა გუნდური მუშაობის პრაქტიკის არსებობა და თანამშრომელთა შორის კოორდინირებული ურთიერთობის მნიშვნელობა ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანჯი
6.10.11. თავმჯდომარის ხელმოწერა
წევრების ხელმოწერები

მარის ხელმოწერა:



3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალის მართვის პოლიტიკის, შესაბამისი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებისა და პერსონალის საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებული მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში შექმნილია პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენის მექანიზმები.

პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების პროცესს, რომლის მიზანია პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს, პროფესიული კომპეტენციებისა და სამუშაოს ხარისხის შეფასება, ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი მიმართულებების გამოვლენა. შეფასების შედეგები გამოიყენება თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრისა და შესაბამისი განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისათვის.

დაწესებულებაში პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება განსაზღვრული კრიტერიუმებისა და შესაბამისი პროცედურების საფუძველზე. შეფასების პროცესში შესაძლებელია როგორც უშუალო ხელმძღვანელის, ისე თანამშრომლის თვითშეფასებისა და სხვა შესაბამისი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენება, რაც ხელს უწყობს პერსონალის საქმიანობის მრავალმხრივ შეფასებას.

პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის მიზნით დაწესებულება ითვალისწინებს პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგებს, თანამშრომელთა საჭიროებებსა და პროფესიული კომპეტენციების განვითარების მიმართულებებს. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი ტრენინგების, პროფესიული განვითარების სხვა ღონისძიებებისა და ინდივიდუალური განვითარების აქტივობების დაგეგმვა.

აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში განხორციელება დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პერსონალის საქმიანობის შეფასების დოკუმენტების შესწავლისა და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე. წარმოდგენილი შეფასების დოკუმენტებიდან იკვეთება, რომ პერსონალის საქმიანობის შეფასება რეალურად ხორციელდება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუჩიძე

6. ქაი. ი. თავაძე

მ. მ. მ. მ.



არ შემოიფარგლება მხოლოდ შესაბამისი პროცედურების ფორმალური არსებობით. გასაუბრებისას პერსონალმა ასევე დაადასტურა შეფასების პროცესში მონაწილეობა და პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის პრაქტიკის არსებობა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენისა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პერსონალის პროფესიული კომპეტენციების განვითარებას და, ამავდროულად, დაწესებულების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას.

წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების, პერსონალის საქმიანობის შეფასების დოკუმენტებისა და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. აღნიშნული მექანიზმები პრაქტიკაში ხორციელდება და მიღებული შედეგები გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვის მიზნით. შესაბამისად, **ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შესაბამება“.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროფესიული განვითარების მარეგულირებელი დოკუმენტების, შესაბამისი მტკიცებულებებისა და პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში შექმნილია პერსონალის შენარჩუნებისა და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი სისტემა, რომელიც რეგულირდება შპს „სქილვილის“ დირექტორის მიერ დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკით“.

პოლიტიკის შესაბამისად, კოლეჯი თანამშრომელთა შენარჩუნების მიზნით იყენებს ინდივიდუალურ განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც ეფუძნება თანამშრომელთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებას, ანაზღაურებისა და სამუშაო პირობების პერიოდულ გადახედვას, ასევე პიროვნული და პროფესიული განვითარების მხარდაჭერას. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებები იგეგმება საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან შესაძლებლობებს, მათ შორის ტრენინგებში, კონფერენციებსა და პროექტებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2023
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



მონაწილეობას, სამუშაოს გამრავალფეროვნებას, დელეგირებას, თვითგანვითარების ხელშეწყობასა და კონსტრუქციული უკუკავშირის მიღებას. პროფესიული განვითარების ღონისძიებები აისახება კოლეჯის სამოქმედო გეგმასა და პროფესიული განვითარების გეგმაში, შესაბამისი ბიუჯეტის განსაზღვრით, ხოლო თანამშრომელთა ინიციატივები პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით წახალისებულია და განიხილება როგორც საჭიროებების კვლევის, ისე უშუალოდ პერსონალის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული განვითარების სისტემა უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენასა და მათზე რეაგირებას, ხოლო დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, მოტივაციის ზრდასა და დაწესებულების სტრატეგიული მიზნების ეფექტიან განხორციელებას.

შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მარეგულირებელი დოკუმენტების, შესაბამისი მტკიცებულებებისა და პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნებს.

დაწესებულებაში პროფესიული განვითარების დაგეგმვა დაკავშირებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების შედეგებთან, პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევასა და დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებთან. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებში, სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში, კონფერენციებსა და სხვა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში, როგორც დაწესებულების, ისე გარე ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ აქტივობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანჯი
6.10.19
ი. თავაძე
[Signature]
[Signature]



ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე დადგინდა, რომ დაწესებულებამ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით აიყვანა ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები. აღნიშნული პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს მათი გადამზადება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, რაც მიზნად ისახავს ახალი მასწავლებლების მომზადებას სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელებისა და შეფასების პროცედურების სათანადოდ წარმართვისათვის.

ამასთან, ექსპერტთა ვიზიტის დროისთვის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლების სწავლებისა და შეფასების მიმართულებით დაგეგმილი გადამზადების ღონისძიებები ჯერ განხორციელებული არ იყო. შესაბამისად, აღნიშნული პროფესიული განვითარების მექანიზმის პრაქტიკული განხორციელება ვიზიტის ეტაპზე სრულად დადასტურებული ვერ იქნა.

აღნიშნული საკითხი ასახულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, რომელშიც პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით დაგეგმილია **3-თვიან ვადაში**. ამდენად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც გამოვლენილი საჭიროება, ისე შესაბამისი განვითარების ღონისძიება და მისი განხორციელების ვადა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები ფუნქციონირებს და მოიცავს პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენას, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასა და პროფესიული კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობების შექმნას. ამასთან, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აყვანილი პროფესიული განათლების მასწავლებლების სწავლებისა და შეფასების მიმართულებით დაგეგმილი გადამზადების ვიზიტამდე განუხორციელებლობა მიუთითებს, რომ პროფესიული განვითარების სისტემის ცალკეული ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელება სრულად დასრულებული არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობისათვის საჭირო მექანიზმების არსებობასა და დაგეგმვას, თუმცა ახალი პროგრამის ფარგლებში აყვანილი პროფესიული განათლების მასწავლებლების სწავლებისა და შეფასების მიმართულებით გადამზადება ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის განხორციელებული არ იყო.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მტკიცებულებებისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მექანიზმები არსებობს და ხორციელდება, თუმცა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აყვანილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.10.2023
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]

მასწავლებლების სწავლებისა და შეფასების მიმართულებით დაგეგმილი გადამზადება ექსპერტთა ვიზიტამდე არ განხორციელებულა. აღნიშნული ღონისძიება გათვალისწინებულია შესაბამისობის გეგმაში და განსაზღვრულია მისი განხორციელების 3-თვიანი ვადა. შესაბამისად, როგორც დაწესებულების, ისე ექსპერტთა ჯგუფის მიერ **ინდიკატორი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“**.

3. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, შპს „სქილვილის“ „პერსონალის მართვის პოლიტიკის“, თანამშრომელთა ადაპტაციის მექანიზმების, შესაბამისი მტკიცებულებებისა და პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ახალი თანამშრომლის მიღებისა და ინტეგრაციის სისტემური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლის ეფექტიან ადაპტაციას ორგანიზაციულ გარემოსა და პროფესიულ საქმიანობაში.

პოლიტიკის შესაბამისად, შერჩევის პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ კანდიდატს ეცნობება დასაქმების პირობები, განესაზღვრება პირადი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა და ხელშეკრულების გაფორმებამდე ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს დაწესებულების ძირითად შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, მათ შორის წესდებას, დებულებას, „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტს, შინაგანაწესსა და სხვა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც დაკავშირებულია მის საქმიანობასთან.

დაწესებულებაში მოქმედი ადაპტაციის მექანიზმი ითვალისწინებს ახალი თანამშრომლისთვის კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და საქმიანობის სპეციფიკის გაცნობას, გუნდის წევრებსა და უშუალო ხელმძღვანელთან ინტეგრაციას, სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მატერიალურ და ელექტრონულ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფას, აგრეთვე სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესებისა და ადმინისტრაციული პროცედურების გაცნობას. ადაპტაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს ადამიანური რესურსების მართვისა და შესყიდვების მენეჯერს, უშუალო ხელმძღვანელსა და შესაბამის კოლეგებს, რაც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ეტაპობრივ და ეფექტიან ინტეგრაციას სამუშაო გარემოში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში დანერგილი ახალი თანამშრომლის მიღებისა და ადაპტაციის მექანიზმი ხელს უწყობს თანამშრომელთა სწრაფ ინტეგრაციას, ორგანიზაციული კულტურის გაზიარებას, უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერებას, რაც ქმნის ეფექტიანი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების წინაპირობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6.06.2024
ი. თავაძე
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]
[ხელმოწერა]



შესაბამისად, ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შესაბამისობის გეგმა;
- 2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- შინაგანაწესი;
- პროფესიული მასწავლებლების თვითშეფასება;
- კმაყოფილების კვლევის ფორმები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლობიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. ქმ. ი. თავაძე

ნ. მანუაშვილი



6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების საბოლოო გაფორმება და დათქმული გრაფიკის შესაბამისად დაასრულოს მიმდინარე სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები და მატერიალური რესურსით აღჭურვა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად (04/08/2026 - ბრძანება N 00016118 - ცვლილება ბრძანებაში N12685 -2026 წლის 03 ივლისი).

შესაბამისობის სამოქმედო გეგმის მიხედვით (2026 წლის ივლისი – ნოემბერი): გაფორმდება იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ფართით სარგებლობა და იჯარის საფასურის გადახდა დაიწყება 2026 წლის 1 ნოემბრიდან; განხორციელდება ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა და აუდიტორიების სრული აღჭურვა საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით; შენობაში დაინერგება შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული აქტივობების დაფინანსება უზრუნველყოფილია კოლეჯის საკუთარი ბიუჯეტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. კ. კ. ი. თავაძე
[ხელმოწერები]



არსებული ვითარება - შპს „სქილვილი“ ქ. ქუთაისში (მის.: ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N26) მდებარე შენობაში (ყოფილი პარლამენტის შენობა) გეგმავს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ამ ეტაპზე დაწესებულებასა და GITA-ს შორის მიმდინარეობს იურიდიული პროცედურები ქონების სარგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით. პროცესი მოიცავს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თანხმობასა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების გამოცემას.

დაწესებულების მიერ მე-5 სართულზე უკვე დაგეგმილია და გამოყოფილია ყველა საჭირო ფუნქციური სივრცე (10 სასწავლო აუდიტორია, 1 საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა/რესურსცენტრი, 5 ადმინისტრაციული და 5 სამუშაო ოთახი, სანიტარიული კვანძები შშმ პირთათვის, სარეკრეაციო სივრცეები, ექიმის კაბინეტი და სივრცე არქივისთვის).

ინდიკატორი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების საბოლოო გაფორმება და დათქმული გრაფიკის შესაბამისად დაასრულოს მიმდინარე სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები და მატერიალური რესურსით აღჭურვა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად (04/08/2026 - ბრძანება N 00016118 - ცვლილება ბრძანებაში N12685 -2026 წლის 03 ივლისი).

შესაბამისობის სამოქმედო გეგმის მიხედვით (2026 წლის ივლისი – ნოემბერი): გაფორმდება იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ფართით სარგებლობა და იჯარის საფასურის გადახდა დაიწყება 2026 წლის 1 ნოემბრიდან; განხორციელდება ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა და აუდიტორიების სრული აღჭურვა საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით; შენობაში დაინერგება შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული აქტივობების დაფინანსება უზრუნველყოფილია კოლეჯის საკუთარი ბიუჯეტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქ. ქ. თაყაიშვილი
[Handwritten signatures]

არსებული ვითარება - შპს „სქილვილი“ ქ. ქუთაისში (მის.: ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N26) მდებარე შენობაში (ყოფილი პარლამენტის შენობა) გეგმავს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ამ ეტაპზე დაწესებულებასა და GITA-ს შორის მიმდინარეობს იურიდიული პროცედურები ქონების სარგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით. პროცესი მოიცავს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თანხმობასა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების გამოცემას.

დაწესებულების მიერ მე-5 სართულზე უკვე დაგეგმილია და გამოყოფილია ყველა საჭირო ფუნქციური სივრცე (10 სასწავლო აუდიტორია, 1 საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა/რესურსცენტრი, 5 ადმინისტრაციული და 5 სამუშაო ოთახი, სანიტარიული კვანძები შშმ პირთათვის, სარეკრეაციო სივრცეები, ექიმის კაბინეტი და სივრცე არქივისთვის).

ინდიკატორი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

3. დაწესებულების მართლობიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების საბოლოო გაფორმება და დათქმული გრაფიკის შესაბამისად დაასრულოს მიმდინარე სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები და მატერიალური რესურსით აღჭურვა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად (04/08/2026 - ბრძანება N 00016118 - ცვლილება ბრძანებაში N12685 -2026 წლის 03 ივლისი).

შესაბამისობის სამოქმედო გეგმის მიხედვით (2026 წლის ივლისი – ნოემბერი): გაფორმდება იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ფართით სარგებლობა და იჯარის საფასურის გადახდა დაიწყება 2026 წლის 1 ნოემბრიდან; განხორციელდება ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა და აუდიტორიების სრული აღჭურვა საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით; შენობაში დაინერგება შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული აქტივობების დაფინანსება უზრუნველყოფილია კოლეჯის საკუთარი ბიუჯეტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი
6. ქ. ქ. თავაძე
[ხელმოწერები]

არსებული ვითარება - შპს „სქილვილი“ ქ. ქუთაისში (მის.: ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N26) მდებარე შენობაში (ყოფილი პარლამენტის შენობა) გეგმავს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ამ ეტაპზე დაწესებულებასა და GITA-ს შორის მიმდინარეობს იურიდიული პროცედურები ქონების სარგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით. პროცესი მოიცავს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თანხმობასა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების გამოცემას.

დაწესებულების მიერ მე-5 სართულზე უკვე დაგეგმილია და გამოყოფილია ყველა საჭირო ფუნქციური სივრცე (10 სასწავლო აუდიტორია, 1 საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა/რესურსცენტრი, 5 ადმინისტრაციული და 5 სამუშაო ოთახი, სანიტარიული კვანძები შშმ პირთათვის, სარეკრეაციო სივრცეები, ექიმის კაბინეტი და სივრცე არქივისთვის).

ინდიკატორი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

